ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„ჩემი თვალით ვნახე, როგორ წაეკიდა დედა-შვილს ცეცხლი. ბავშვი ჩემ თვალწინ დაიწვა“

გვ.7



რას ყვება საბერძნეთში მცხოვრები ემიგრანტი ნინი მაისურაძე

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8




ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ოთხშაბათი, 25 ივლისი, 2018

№174 (7719)

ფასი: 60 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილი: „გიორგი კვირიკაშვილი უნდა წასულიყო“

გვ.2



## დავით ქიჭინაძე: „ქართული ოცნების“ დატოვებას არ ვაპირებ“

გვ.3





გვ.5

## მამუკა კუდავა: „ნატოში საქართველოს წევრობა გადაწყვეტილია. მთავარი ისაა, როდის და რა პირობებით“

## „მაია ცქიტიშვილის მინისტრად დანიშვნის შემდეგ „ქართულ ოცნებაში“ ახალი პროცესი დაიწყო“

გვ.4






## „გიგა ბოკერია ბიძინა ივანიშვილის მფარველი გახდა“

გვ.3

ემზარ კვიციანი: „ევროპულ საქართველოს“ ხელი რომ მოჰკიდონ, მთელი მოსკოვი აფეთქდება“

**სამართალი** გვ.7

## „ვაგონებში დაკვამლიანება იყო, ჰაერი ჩაიხუთა, სუნთქვა ჭირდა“

რა მოხდა საბურთალოს ხაზზე



## თბილისში ირანის მოქალაქე ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს






გვ.2

## სისხლიანი დაპირისპირება ბერლინში ქართველებსა და სუდანელებს შორის — მოკლულია საქართველოს მოქალაქე

**ეკონომიკა** გვ.6

## კახა კალაძე: „საბუთის არქონის შემთხვევაში ტაქსის მძღოლი 200 ლარით დაჯარიმდება“





## რომელი მწარმოებლის ღვინის შეტანა შეიზღუდა რუსეთში, ამას ეროვნული სააგენტო არ ასაჯაროებს

## ქართული წარმოების ზეთისხილის ზეთს ბელორუსში ექსპორტზე გაიტანენ





## 2019 წლიდან დედაქალაქში პარკირების საათობრივი და ზონალური სისტემა ამოქმედდება

ISSN 1987-9385

5 ირაკლი ხმალაძე: „დედაქალაქში არსებული მიკროავტობუსების რაოდენობა შემცირდება“

2 სოსო ცინცაძე: „სალომე ზურაბიშვილი „ოცნებისთვის“ ყველაზე პრაგმატული გამოსავალია“

5 ტრამპი-პუტინის შეთანხმებით სირიაში ლტოლვილების დაბრუნების პროცესი იწყება

6 მიხეილ კორძახია: „არ მახსენდება არც ერთი დეპუტატი, რომელსაც შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონში რამე ცვლილებების შეტანა სურდა“

# სოსო ცინცაძე: „სალომე ზურაბიშვილი „ოცნებისთვის“ ყველაზე პრაგმატული გამოსავალია“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**




***— ბატონო სოსო, ვიცესპიკერმა ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ უკეთესია, თუ „ოცნებას“ პარტიული კანდიდატი არ ეყოლება, რადგან მათ აქვთ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა, თვითმმართველობებში ისინი არიან უმრავლესობით. „ოცნება“ პოზიციებს თმობს თუ ეს დემოკრატიის ნიშანია?***

— ივანიშვილმა ოთხ ადამიანს შესთავაზა კანდიდატობა. ორის დასახელება შემიძლია: დავით მაღრაძე და ლადო ჭანტურია, მაგრამ ორივემ უარი უთხრა. მე მათი უარი ნამდვილად არ გამკვირვებია.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ რისი ნიშანია, რასაკვირველია, აქ დემოკრატია არაფერ შუაშია. ეს არის პრაგმატული ნაბიჯი, სახის შენარჩუნებისთვის ეს გონივრული გადაწყვეტილებაა. „ქართული ოცნებისთვის“ ძალიან მომგებიანი იქნებოდა ნეიტრალური კანდიდატის დასახელება, მაგალითად, პოეტის, მსახიობის, მეცნიერის, რომელსაც აქვს საზოგადოების მაღალი ნდობა და სოლიდურობა, მაგრამ, საქმე ის არის, რომ ეს ადამიანები თანახმა არ არიან, ამიტომ კანდიდატი ისევ პოლიტიკიდან იქნება. ჩუგოშვილი კი ამბობს, რომ მათი პარტიის წევრი რომ არ იყოს, უკეთესია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკასთან მათ კანდიდატს საერთო არაფერი ექნება. პირიქით.

რატომ დასჭირდა ამდენი ლოდინი ივანიშვილს, რომ კანდიდატი დაესახელებინა?! ამის მიზეზი მხოლოდ ის არ არის, რომ მას მარგველაშვილმა არ გაუმართლა და ეშინია. უმთავრესი მიზეზია „ქართული ოცნების“ კლებადი რეიტინგი, ნდობის დეფიციტი, რომელიც ხრავს ხელისუფლებას.

დღეს ხელისუფლების ყველაზე დიდი ოპოზიცია არის უმუშევრობა, გაჭირვება და ის სოციალური ფონი, რომელიც 6 წლის თავზე ქვეყანაშია. რომელი პარტიული სახე უნდა დააყენოს ივანიშვილმა, რომ ამომრჩეველმა ნდობა გამოუცხადოს?! ვინ არის ასეთი „ოცნებაში“? დღეს ხელისუფლებას ოპოზიცია სულაც არ სჭირდება, ადამიანი გამოაღებს საკუთარ მაცივარს და ყველაფერი ნათელია. ამიტომ არის, რომ ამდენი ხანი მათ გაუჭირდათ საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელება.

ამიტომაც არის, რომ სახელდება სალომე ზურაბიშვილი, რომელიც პირდაპირ არ ასოცირდება პარტია „ქართულ ოცნებასთან“. ეს არის პრაგმატული და გონივრული ნაბიჯი. მთლად ისე არ არის, რომ უჭკუო ხალხი იყოს იქ. ეტყობა, ბევრი იფიქრეს და ამ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ.

***— სალომე ზურაბიშვილი თუ დასახელდა კანდიდატად, მარგველაშვილივით ისიც დამოუკიდებელ მანევრირებას ხომ არ დაიწყებს?***

— არა, სალომე ზურაბიშვილი არ არის ბარიკადებზე ამსვლელი, მიუხედავად მისი ხისტი ხასიათისა. გიორგი მარგველაშვილი არის პოლიტიკოსი, მაღალი დონის პოლიტიკოსი. სიმართლე გითხრათ, თუ მარგველაშვილი პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს, ეს ქართული პოლიტიკისთვის, სახელმწიფოსთვის დანაკლისი იქნება, რადგან ჩვენ არ გვყავს პოლიტიკოსები ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. იმედი მაქვს, ის ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

რაც შეეხება ქალბატონ ზურაბიშვილს, ის დღეს არის დამოუკიდებელი დეპუტატი, მაგრამ მითხარით, როგორი დამოუკიდებელია, მას „ოცნების“ დეპუტატებისგან ვერ გაარჩევ! ის არის, რომ პარტიულობა არ უნდა. ეს არის პრაგმატული გადაწყვეტილება ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც.

***— ვინაიდან გენდერი იქნება განმსაზღვრელიო, კობახიძემ, შეიძლება, მაია ცქიტიშვილი იყოს...***

— არა მგონია, რადგან ქალბატონი მაია ცქიტიშვილი არის იქ, სადაც დღეს ყველაზე მეტად არის ის საჭირო. ამიტომ ვამბობ, რომ ივანიშვილს მხოლოდ ზურაბიშვილი შერჩება, როგორც ყველაზე პრაგმატული გამოსავალი.

რაც შეეხება ქალბატონ ცქიტიშვილს, ივანიშვილი მას ყველაზე მეტად ენდობა. სწორედ ცქიტიშვილის ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადაყვანა იყო სიგნალი, რომ რაღაც ისე არ არის, ამიტომ არ მგონია, რომ ივანიშვილი ცქიტიშვილს შეელიოს. თუ ცქიტიშვილი დასახელდება, მაშინ ეს იქნება მთავრობისთვის დანაკარგი. ცქიტიშვილი იქ არის საჭირო, სადაც არის. ინფრასტრუქტურის სამინისტრო არის ყველაზე მაღალბიუჯეტიანი სამინისტრო, ამიტომ იქ არ შეიძლება „ვილაცის“ მიშვება.

***— ისე, რას იტყვით ყოფილ მინისტრებზე, რომლებზეც ძიება მიდის? ვილაცები პოლიტიკას უკავშირებენ.***

— არა, მე გამოვრიცხავ აქ პოლიტიკას. ბოლო 6 წლის განმავლობაში ქვეყანაში რომელი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა?! რომელი ავტობანი დაიგო, რომელი ქალაქი აშენდა, რომელი აეროპორტი ან დიდი პორტი?! არც ერთი, როგორც ვიცით.

ქობულეთი ვერა და ვერ იქცა თანამედროვე სტანდარტის დასასვენებელ ქალაქად. ეს ერთი პატარა მაგალითია. ხომ შეიძლებოდა, გაკეთებულიყო, ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველი რომ იყოს. უცხოელ ტურისტებს კი არა, ქართველებს არ უნდათ იქ დასვენება, არადა, შეიძლებოდა, გაკეთებულიყო. რომელი საქმე გაკეთდა ამ კუთხით? ბიუჯეტი კი გაიხარჯა. ისიც გვითხრეს, რომ რომელიღაცა უკრაინულ კომპანიას ერიცხებოდა მილიონები, ის კი საქმეს არ ასრულებდა. ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

აქ სერიოზულად დგას საკითხი: ან ამ ბატონებმა ყველა ამ კითხვას პასუხი უნდა გასცენ, ან მილიონების უკან დაბრუნება მოუწევთ. ცხადია, მე უდანაშაულობის პრეზუმფციას არ ვარღვევ. აქ საუბარია იმ კითხვებზე, რომლებიც ხალხს აქვს. ეს კითხვები კი პასუხს საჭიროებს.

***— ბატონო სოსო, მარგველაშვილზე უნდა გკითხოთ. როგორ ახსნით პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, როდესაც რიჟვაძის კანდიდატურა წარადგინა და პოლიტიკურ პროცესზე უარი თქვა?***

— მოვისმინე, თითქოს მარგველაშვილი-ივანიშვილის დაპირისპირება თამაშია. არა, ნამდვილად არ არის ასე. შეუძლებელია. შეიძლება, პიროვნულად მოეწონა თორნიკე რიჟვაძე, ვერ გეტყვით, რა იყო მისი მოტივატორი ამ შემთხვევაში. გარდა ამისა, მარგველაშვილის პოზიცია არ იყო გადამწყვეტი. მაინც აირჩევდნენ იმას, რომელსაც უმრავლესობა დაასახელებდა. შეიძლება, ის ახალგაზრდა კაცი მართლაც არ არის პიროვნულად ცუდი ადამიანი და მარგველაშვილი ცდილობს, ობიექტური იყოს.

***— თუ წასვლის წინ კარი არ გაიჯახუნა?***

— პრეზიდენტმა მარგველაშვილმა იმდენჯერ გაიჯახუნა კარი, რამდენი კარიც პრეზიდენტის სასახლეს აქვს.

***— ოპოზიცია ამბობს, რომ პოლიტიკურ პროცესზე თქვა პრეზიდენტმა უარი.***

— გასაგებია, მაგრამ რას მოიტანდა ეს პოლიტიკური პროცესი? საკონსტიტუციო კრიზისს, რომლის მიხედვითაც, არც ქვეყანა მოიგებდა და არც არავინ. საბოლოო ჯამში, მაინც ის დაინიშნებოდა, რომელიც ენდომებოდა „ქართულ ოცნებას“. მე ვფიქრობ, რომ ამას გაგებით მოეკიდა პრეზიდენტი და ამიტომ თქვა უარი ამაზე.

# ბიძინა ივანიშვილი: „გიორგი კვირიკაშვილი უნდა წასულიყო“

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ, 24 ივლისს, დიდი ბიძინობა იყო. ხანგძლივი შესვენების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა მედიასთან ისაუბრა. ამჯერად მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს მისცა ინტერვიუ. იმედია, სხვა მედიასაშუალებებთანაც მოინდომებს შეხვედრას.**



პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მტკიცებით, მასზე ძალიან მძიმედ იმოქმედა იმ კვლევამ, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა. ქვეყნის პირველ მეოცნებეს თუ დავუჯერებთ, მას ამ კვლევამდე არ სცოდნია, საქართველოში ამდენ ხალხს რომ უჭირს.

— ძალიან მძიმედ ვიყავი რამდენიმე დღე, როდესაც ვნახე, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს პოლიტიკაში „ქართული ოცნების“ შემდგომ სიღარიბის ზღვარი გაუუარესდა, — განაცხადა ივანიშვილმა.

ნაპრემიერალი „ოცნების“ დიდ თავისტკივილზე – საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევაზეც საუბრობს. პარტიაში სათანადო კანდიდატურის ძებნა ჯერ კიდევ შარშან დაიწყეს, მაგრამ აქამდე ვერ შეარჩიეს. „ოცნებაში“ ვარაუდობენ, რომ კანდიდატს ამ დღეებში დაასახელებენ.

მანამდე ივანიშვილის განცხადებას ჩააანალიზებენ კარგად. მას საბოლოო გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, უკვე მიღებული აქვს. გადაცემაში „აქტუალური ინტერვიუ“ ივანიშვილი ასეთ განცხადებას აკეთებს:

— ზურაბ აბაშიძე, სოზარ სუბარი, სერგეენკო, ჩემზეც ამბობენ, თეა წულუკიანი და კიდევ ბევრი ღირსეული კანდიდატი გვყავს ჩვენ, ვინც შეიძლება პირველსავე ტურში მოახერხოს და გაიმარჯვოს.

მან კვირიკაშვილის სკანდალსაც ვერ აუარა გვერდი და მასზე საუბრისას ბანკირებიც შემოელანძღა.

მისი თქმით, სახელმწიფოს ინტერესებსა და ბიზნესინტერესებს შორის ირღვეოდა ბალანსი, რაც თურმე კვირიკაშვილის დამსახურება ყოფილა.

ის პირდაპირ არ ამბობს, რომ მას კვირიკაშვილთან დაპირისპირება ჰქონდა, თუმცა აცხადებს, რომ კვირიკაშვილი გადაწყვეტილებების შეთანხმებას მხოლოდ ორ მინისტრთან — ქუმსიშვილთან და ალავიძესთან ახერხებდა. მისივე თქმით, გიორგი კვირიკაშვილი უნდა წასულიყო და წავიდა კიდეც.

— ძალიან დიდი იყო ხიფათი გუნდის დაშლის და პროცესი იყო დაწყებული. ძალიან მძიმედ ვიყავი რამდენიმე დღე, როდესაც ვნახე, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, პოლიტიკაში „ქართული ოცნების“ შემდგომ, სიღარიბის ზღვარი გაუუარესდა. ბანკმა გადაჭამა მთელი ქვეყანა. ირღვეოდა ბალანსი სახელმწიფოს ინტერესებსა და ბიზნესინტერესებს შორის და არღვევდა ამას კვირიკაშვილი თავისი ქმედებებით.

მას აღარ შეეძლო მართვა, ორ კაცთან, ალავიძესთან და ქუმსიშვილთან ახერხებდა ის გადაწყვეტილებების შეთანხმებას. მას არ დარჩა არჩევანი, ის უნდა წასულიყო და წავიდა კიდეც, — აღნიშნავს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე.

მან ახალ პრემიერ-მინისტრსა და სამთავრობო გუნდზეც ისაუბრა. მისი თქმით, ბახტაძე ყველა სამინისტროს მუშაობით არის დაინტერესებული, რაც, მისივე განცხადებით, გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობის დროს არ ხდებოდა.

— მამუკა ბახტაძე მოწოდებულია, ყველა სამინისტროში ჩაერიოს, ყველა პრობლემა გაიგოს, დაეხმაროს, გაიაროს კონსულტაციები, რაც არ ხდებოდა კვირიკაშვილის პრემიერობის დროს, — განაცხადა ივანიშვილმა.

# სისხლიანი დაპირისპირება ბერლინში ქართველებსა და სუდანელებს შორის — მოკლულია საქართველოს მოქალაქე




ბერლინის ლტოლვილთა ბანაკში მომხდარი დაპირისპირება მკვლელობით დასრულდა. არსებული ინფორმაციით, გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელ ქართველებს სასტიკად გაუსწორდნენ. დაღუპული საქართველოს მოქალაქეა, რომლის ვინაობა ამ დროისთვის უცნობია.

არსებული ინფორმაციით, დაპირისპირება ქართველებსა და სუდანელებს შორის მოხდა.

— ჩამსხვრეულია ფანჯრები, შუშები ახლაც ძირს ყრია, ტანსაცმელი ძირს ყრია... ამ ბიჭის სისხლი იატაკზე ამჩნევია, — ამბობს თვითმხილველი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გიგა ბოკერია ბიძინა ივანიშვილის მფარველი გახდა“

შორენა მარსაგიშვილი

## ემზარ კვიციანი: „ევროპულ საქართველოს“ ხელი რომ მოჰკიდონ, მთელი მოსკოვი აფეთქდება“



„ოცნება“ დეპუტატებს გამოხატვის თავისუფლებას უზღუდავს“

**რაში სჭირდება პარლამენტს ეთიკის კოდექსი, რატომ ვერ ჰკიდებენ ხელს გიგა ბოკერიას, რა რეზოლუციის მიღებას ითხოვს „პატრიოტთა ალიანსი", რატომ ალაპარაკდნენ ნაციონალები სამართლიანობის აღდგენაზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას" „პატრიოტთა ალიანსის" ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი ესაუბრება.**

**ემზარ კვიციანი:**

– ქვეყანაში არსებული ვითარება უკვე აუტანელი გახდა – ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ისე გათავხედდნენ, რომ სამართლიანობის აღდგენაზე დაიწყეს საუბარი. ეს ჯერ მხოლოდ საუბარია, მაგრამ მალე ისე შეატრიალებენ საქმეს, რომ აქეთ დაგვბრალდება მათი წამება და დევნა. იმასაც დაამტკიცებენ, რომ ცხონებულმა სულხან მოლაშვილმა აწამა გიგა ბოკერია.

***– ამბობთ, იმას იტყვიან, რომ მათი დევნა მიდის. ამას უკვე ამბობენ და ევროპის სახალხო პარტია შეშფოთებულია იმის გამო, რომ ნაცმოძრაობის ლიდერები ციხეში სხედან.***

– მთავარი დამნაშავე, სააკაშვილი, თავისუფალია. ციხეში ვინც ზის, იმათაც მინიმალური აქვთ მისჯილი. რამდენიმე ადამიანის ციხეში გაშვება საკმარისი არაა. ნაციონალური მოძრაობა, როგორც რეჟიმი, ისე უნდა გასამართლდეს. ყოფილ ხელისუფლებას სამართლებრივი შეფასება თუ არ მიეცა, არაფერი გამოგვივა.

***– თქვენ გჯერათ, რომ ნაციონალებს დამნაშავე რეჟიმად გამოაცხადებენ?***

– „პატრიოტთა ალიანსს“ ამასთან დაკავშირებით უკვე შეტანილი აქვს პარლამენტში რეზოლუცია. ახლა მმართველი პარტიის გადასაწყვეტია, დაუჭერენ თუ არა ამას მხარს.

***– ნაციონალების წინააღმდეგ თქვენი პარტია ხელმოწერებსაც ხომ აგროვებდა?***

– ხელმოწერებს ისევ ვაგროვებთ და ყოფილი ხელისუფლების გასამართლებას ვითხოვთ.

***– თქვენი პარტიის რეზოლუცია პარლამენტში განსახილველად როდის გამოვა?***

– არ ვიცით, იმედი გვაქვს, რომ ეს მალე მოხდება. „ოცნების“ დეპუტატები გვეუბნებიან, რომ მხარს დაგვიჭერენ.

***– თავად რატომ არ მოამზადეს ასეთი რეზოლუცია?***

– ვერ გეტყვით, მიზეზების კითხვასაც არ ვაპირებ. ახლა მთავარია, მხარი დაუჭირონ ჩვენ მიერ მომზადებულ რეზოლუციას. იმედი გვაქვს, მხარდაჭერა იქნება.

***– თქვენ იმის იმედიც გქონდათ, რომ „ოცნება“ დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნას დაუჭერდა მხარს, რომელიც კოდორის ამბებს გამოიძიებდა.***

– ამ კომისიის შექმნას გიგა ბოკერიას გამო არ დაუჭირეს მხარი. ის იყო ამ საქმის გამოძიების წინააღმდეგი.

***– ასეთი გავლენები აქვს ბოკერიას „ოცნებაზე“?***

– გავლენა როგორ არა აქვს. აქამდე ამბობდნენ, რომ მას ივანიშვილი მფარველობდა. ახლა უკვე იმაზე საუბრობენ, რომ ბოკერია მფარველობს ივანიშვილს.

***– რანაირად მფარველობს?***

– რანაირად და ჩვეულებრივად. ბოკერია „ოცნების“ ლიდერს რუსეთსა და დასავლეთში უწევს ლობირებას.

***– დასავლეთში კიდევ გასაგებია, მაგრამ რუსეთში ივანიშვილს ბოკერიას მფარველობა რაში სჭირდება?***

– სჭირდება, რომ იცოდეთ, ბოკერიას მოსკოვში ყველაზე დიდი ლობი ჰყავს.

***– ვინ ლობირებს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს?***

– ვინ? რუსეთის მმართველობის ელიტა. ბოკერიას ყველაზე მთავარი ლობი კი იგორ გიორგაძეა. ამიტომაც თითსაც ვერავინ დაადებს ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთ ლიდერს.

***– რომ დააკარონ?***

– დააკარებენ და მოსკოვი აუფეთქდებათ.

***– რაღაც დაუჯერებელია, რომ ბოკერიას მოსკოვი მფარველობდეს.***

– არაფერი ამაში დაუჯერებელი არ არის. ეს კაცი მაგათია და მაგიტომაც აკეთებენ ყველაფერს მის დასაცავად.

***– ბოკერიას რუსეთის კაცობაც დაუჯერებელია. მთელი ცხოვრება რუსეთს აგინებს.***

– არანაირი უცნაურობა. აბა, დააკვირდით, ყველაზე მეტად რუსებს ვინც ლანძღავდა და პროამერიკელობას იბრალებდა, დღეს ისინი რუსეთში ცხოვრობენ.

***– მაგ ლოგიკით, თქვენ ამერიკაში უნდა წახვიდეთ საცხოვრებლად, ძალიან ხშირად აკრიტიკებთ ამ ქვეყანას.***

– ყველანაირი ლოგიკით, საქართველოში უნდა ვიყო და ვარ კიდევაც. სხვებისგან განსხვავებით, არც ამერიკა მჭირდება და არც რუსეთი. მეგობრობას თუ გაგვიწევენ, მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ მაგათგან მეგობრობის სურვილი არ მოდის.

ამერიკას აკრიტიკებო, ხომ მითხარით, მაგრამ, იყო დრო, საქართველოში ჩემზე დიდი პროამერიკელი არ დადიოდა.

***– ეს როდის იყო?***

– სულ ცოტა ხნის წინ. ძალიან მაგარი პროამერიკელი ვიყავი, ვიდრე ბოლომდე არ შევიცანი ეგენი. აშშ-მ ბევრჯერ გვიღალატა, ისევე, როგორც გაერომ და ეუთომ. რუსეთზე აღარაფერს ვამბობ.

როცა საუბრობენ პროდასავლურობასა და პრორუსულობაზე, ძალიან მეცინება. ერთსაც და მეორესაც ქართველი კაცი იმ დოზით აინტერესებს, რა დოზით ჩაიხდის ის შარვალს.

***– თქვენზე პარლამენტი აშკარად ცუდ გავლენას ახდენს. ადრე ასეთ უზრდელობებს არ ამბობდით.***

– შარვლის ჩახდა უზრდელური არაა. ეს ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორიც შარვლის ჩაცმა. იმედია, ამის გამო ეთიკის ნორმების დარღვევას არ დამდებენ ბრალად. ისიც იცოდეთ, რომ ეთიკის კოდექსი პარლამენტში ბოკერიასთვის შემოაქვთ.

***– ბოკერია აქ რა შუაშია?***

– შუაში არ არის, თავშია. ეს კანონი იმიტომ მოამზადეს, რომ ბოკერიას ბუზიც კი ვერ ავუფრინოთ. სამაგიეროდ, მას უფლება ექნება, ჩვენ თვალწინ ითავხედოს.

***– თავხედობაში რას გულისხმობთ?***

– თავხედობაში თავხედობას ვგულისხმობ. მას ამის უფლებას ეთიკის კოდექსით აძლევენ.

***– ამ კოდექსში სადმე წერია, ბოკერიასთვის ბუზის აფრენა არ შეიძლებაო?***

– არ წერია, მაგრამ იგულისხმება. ჩემთვის პირადად სერიოზული ტანჯვის ტოლფასია იმის ყურება, რომ მწამებელი და სამშობლოს გამყიდველი წინ მიზის. როცა პარლამენტში ამდენი მწამებელია, იქ ეთიკის კოდექსის დაწესება დანაშაულია. ასე ძალიან თუ უნდათ ამ კოდექსის დაწესება, მაშინ ჯერ სამართლიანობა აღადგინონ.

***– ეთიკის კოდექსი ბოკერიას არ ზღუდავს?***

– ეგ ისეთია, თავს დაიძვრენს, შემოტრიალდება, გამოხატვის თავისუფლების ეგიდით ისეთ რამეს გეტყვის, გადაგრევს. ეთიკის კოდექსის გამო პასუხის გაცემის უფლება არა გაქვს. ვერც შეაგინებ, მოკლედ, ვერაფერს უზამ.

***– გამოხატვის თავისუფლების ეგიდით რომ უპასუხოთ?***

– ამის გაკეთება ძნელია. ისეთი კოდექსი დაწერეს, რომ ბოკერიასა და მის გუნდს ვერაფერს ეტყვი.

***– ეთიკის კოდექსი რას ავალდებულებს დეპუტატს?***

– ბევრ ცუდ რამეს.

***– მაგალითად, რას?***

– თავი უნდა შევიკავოთ კოლეგების ლანძღვისგან. რაღაც გამოთქმებიც გვეკრძალება. ეს არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

ცოტა ხნის წინ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა შევიტანე რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით მედიასა და არასამთავრობოებს უამრავი კითხვა გაუჩნდათ, მეკითხებოდნენ, როგორ უნდა განვსაზღვროთ, რა არის შეურაცხმყოფელიო.

ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით კითხვები არ გასჩენიათ. ახლა მე ვეკითხები მათ, ეთიკის კოდექსში როგორ უნდა განვსაზღვროთ, რა არის შეურაცხმყოფელი?! ამ კოდექსიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ „ოცნება“ დეპუტატებს გამოხატვის თავისუფლებას უზღუდავს.

# დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნების“ დატოვებას არ ვაპირებ“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ სწყინთ ზარდიაშვილობა „ოცნების“ ლიდერებს, ვისზე ცდილობს ხელების შეწმენდას ირაკლი კობახიძე, რას ფიქრობენ მის გარიცხვაზე პარტიაში, რა საიდუმლო ოთახებია პარლამენტში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დეპუტატი დავით ჭიჭინაძე ესაუბრება.**

***– „ქართული ოცნებიდან“ გარიცხვის შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?***

– მშვენივრად ვარ და, შემიძლია გითხრათ, რომ „ქართული ოცნებიდან“ ვერავინ გამრიცხავს. „ქართული ოცნება“ არის ის ხალხი, რომელიც 2012 წელს ივანიშვილთან ერთად ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს. ამ „ქართული ოცნებიდან“ ვერავინ გამრიცხავს. მე „ოცნებიდან“ წასვლას არ ვაპირებ.

***– ისე, უცნაურია, რომ „ოცნებიდან“ გაგრიცხათ იმ ხალხმა, ვინც ამ***



***პარტიაში 2016 წელს მოვიდა.***

– ეს საინტერესო ფაქტია, მაგრამ გარიცხვას ხელი იმ ადამიანებმაც მოაწერეს, რომლებიც „ოცნებაში“ 2012 წლიდან იყვნენ.

***– გია ვოლსკიზე და კახა კალაძეზე საუბრობთ?***

– მაგათზე და დიტო სამხარაძეზეც.

***– ვოლსკიმ თქვა, რომ თქვენი გარიცხვა იმიტომ მოხდა, რომ პარტიაში დესტაბილიზაციას იწვევდით.***

– მე სიმართლეს ვლაპარაკობდი. მომავალშიც ასე გავაგრძელებ. რაც შეეხება ვოლსკის, მან ისიც თქვა, რომ ჩემი საქციელი დეპუტატის სტატუსს არ შეესაბამება. ამაზე „ქრონიკა +“-თან გავაკეთე კომენტარი და თქვენთანაც გავიმეორებ.

მაგის მსგავსად კომკავშირელი და ცეკას ინსტრუქტორი არ ვყოფილვარ, არც იმ ცხოვრებით მიცხოვრია: არის, უფროსოო!“ მე თავისუფალი ადამიანი ვარ და, როცა პოლიტიკით დავინტერესდი, უკვე „პერესტროიკა“ იყო.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ „ოცნების“ საპარლამენტო ჯგუფში არსებობს ლიდერშიფი და პარლამენტში არის ცალკე ოთახები, სადაც გენიალურ აზრებს ხარშავენ.***

– ცალკე ოთახებით კოლექტიური ზარდიაშვილები სარგებლობენ. მათ ჩაკეტილი ჯგუფის მსგავსი შექმნეს პარლამენტში, ცალკე ოთახებიც კი აიღეს, რომ დანარჩენებს ხელი არ შეეშალათ. აი, აქ ასვენებდნენ ტვინებს და გენიალურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ამ ოთახების გარდა, კოლექტიურ ზარდიაშვილებს კაბინეტებიც აქვთ.

***– „ოცნების“ ლიდერები ტერმინზე „კოლექტიური ზარდიაშვილები“ ძალიან ღიზიანდებიან.***

– ეს მათი პრობლემაა. ზარდიაშვილი მათ გვერდით არის და არ უნდა ბრაზდებოდნენ. ძალიან კარგი გვარია ზარდიაშვილი. ბავშვობის მეგობარი მყავდა, დავით ზარდიაშვილი. ის სამაჩაბლოში პირველი კონფლიქტისას დაიღუპა. ასე რომ, გვართან არაფერი პრეტენზია არა მაქვს. კოლექტიურ ზარდიაშვილებში რასაც ვგულისხმობ, „ოცნებაში“ ძალიან კარგად იციან.

***– რამდენიმე თვის წინ თქვენ თქვით, რომ „ოცნება“ ისნის რაიონში აპირებდა ვანო ზარდიაშვილის მაჟორიტარად დასახელებას, მაგრამ ამას მოსახლეობის მხრიდან პროტესტი მოჰყვა.***

– დეტალებზე ახლა არ ვისაუბრებ, მაგრამ ზარდიაშვილის დასახელების მცდელობას დიდი ამბები მოჰყვა ჩემს რაიონში.

***– ამომრჩეველზე ვსაუბრობთ და როგორ შეხვდა ხალხი თქვენს გარიცხვას?***

– უარყოფითად. ისინი კარგად ხედავენ, რომ სიმართლის თქმა არ მაპატია რამდენიმე ლიდერმა.

***– „ოცნების“ დეპუტატებისგან თუ გრძნობთ მხარდაჭერას?***

– რა თქმა უნდა. ისინიც მეთანხმებიან, რომ არ შეიძლება, წასულ ადამიანს ხელები შეახოცო. რამე პრეტენზიები თუ ჰქონდა, ეს ირაკლი კობახიძეს ადრე უნდა ეთქვა.

***– გიორგი კვირიკაშვილის ამბავი გაქვთ მხედველობაში?***

– დიახ. კვირიკაშვილზე კობახიძე მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც მან პრემიერის პოსტი დატოვა. მანამდე რატომ არ თქვა, რომ კვირიკაშვილმა შეუშალა ხელი ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიც შრომითი უსაფრთხოების ნორმების გამკაცრებაა.

***– შრომითი უსაფრთხოების ნორმების გამკაცრებას არ სთხოვდნენ კობახიძეს ლაბორატორია 115-ის წევრები, ახალგაზრდებს ბოლშევიკები რომ ეძახა?***

– ასე იყო. თავად წავიდა ამის წინააღმდეგი და ახლა კვირიკაშვილზე ცდილობს ხელის შეწმენდას. ეს არასწორია.

***– როდესაც პარტიიდან გაგრიცხეს, თქვით, რომ ახალ ფრაქციას, „ოცნება 2012“-ს, შექმნიდით. ისევ აპირებთ ამის გაკეთებას?***

– ვთქვი, რომ ფრაქციას „ოცნებიდან“ გამოყრილებისგან შევქმნიდი. „ოცნებიდან“ თუ კიდევ გამოყრიან დეპუტატებს, ეს ფრაქცია შეიქმნება.

***– თქვენი აზრით, სხვებსაც გარიცხავენ?***

– ზოგი შეიძლება გარიცხონ, ზოგი ალბათ თავად წამოვა.

2018, 25 ივლისი, №174

# „მაია ცქიტიშვილის მინისტრად დანიშვნის შემდეგ „ქართულ ოცნებაში“ ახალი პროცესი დაიწყო“

## პაატა ზაქარეიშვილი: „მინისტრის მანქანიდან ისევ მეტროში რომ ჩავედი, გავოგნდი სიღარიბის დონით. 2012 წელს ასე ღარიბი არ იყო ხალხი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ანალიტიკოსი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**



***– ბატონო პაატა, თქვენ „ქართული ოცნების“ მთავრობის წევრი იყავით. დღეს ბევრი კრიტიკა ისმის „ოცნების“ მისამართით. ქაოსი, შიდა დაპირისპირება გუნდში. როგორია თქვენი შეფასებები?***

– იმ ძველი მთავრობიდან, რომლის წევრი მეც გახლდით, მხოლოდ ორი მინისტრია, წულუკიანი და სერგეენკო, დანარჩენი ყველა ახალია და მათზე მეც იმდენი ვიცი, რამდენიც – დანარჩენმა საზოგადოებამ. პრობლემები მართლაც არის. კარგი მთავრობა არ ნიშნავს იმას, რომ უკეთესი იყო ნაციონალურ მოძრაობაზე. სხვა ბევრი რამაა საჭირო. სტაბილურობისა და მდგრადობის განცდა უნდა იყოს საზოგადოებაში.

***– ეს ყველაფერი არ არის?***

– პოლიტიკური მდგრადობა არ არის. ივანიშვილის დაბრუნება ვერც ვერავინ შეამჩნია. ახლა ამ გამოსვლით, შესაძლოა, რაღაც სიცხადე შემოიტანოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ცხადია, რომ ის ძალიან ადრე წავიდა პოლიტიკიდან და ძალიან გვიან დაბრუნდა. თუ წამსვლელი იყო, ცოტა მოგვიანებით უნდა წასულიყო და, თუ დამბრუნებელი იყო, ცოტა ადრე უნდა დაბრუნებული. ის დროში ასცდა წასვლასაც და უკან შემობრუნებასაც. პრაქტიკულად, ამან შექმნა გარკვეული რყევები, რაც გამოიყენეს სხვებმა „ქართულ ოცნებაში“.

***– შიგნით გუნდში?***

– დიახ, რაღაც ახალი დაჯგუფებები შეიქმნა. ეს ბუნებრივი მოვლენაა, როცა სისტემა არ არსებობს, შემდეგ ის თავისებურად ლაგდება. თუ ყანაში სიმინდს არ თესავ, იქ სარეველა ამოდის. ეს ხომ ბუნებრივი პროცესებია. ვაკუუმი არ არსებობს, რაღაცა პროცესები მაინც მიმდინარეობს. ან შენ მართავ პროცესებს, ან პროცესები გმართავს შენ! მესამე ვარიანტი არ არსებობს.

ამ ფონზე პროცესებმა დაიწყო მართვა იმავე „ქართულ ოცნებაში“, რამაც ოპოზიციურ ძალებს წარმატების განცდები გაუჩინა, საკმაოდ დისკრედიტებულ და მარგინალურ ძალას, როგორიც ნაციონალური მოძრაობა ან ევროპული საქართველოა.

***– მათ რა განცდები გაუჩნდათ, რომ უკან დაბრუნდებიან?***

– დიახ, მათ გაუჩნდათ მოლოდინი, რომ შეუძლიათ დაბრუნდნენ უკან და თავიანთი დანაშაულებრივი პოლიტიკა გააგრძელონ, რაც ყოვლად დაუშვებელია.

***– ეს მოლოდინი რამ გაუჩინა, ხელისუფლების სისუსტემ?***

– რა თქმა უნდა, სისუსტემ. მე თუ მკითხავთ, რა განსხვავებაა ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის? ნაციონალურ მოძრაობას შევადარებდი პროფესიონალ მკვლელებს, რომლებმაც კარგად იციან, როგორ უნდა მოკლან, როგორ გაანადგურონ, როგორ დაანგრიონ, ხოლო „ქართულ ოცნებას“ შევადარებდი არაპროფესიონალ მშენებლებს, რომლებმაც არ იციან, როგორ აშენონ.

იმათ ბოროტების რესურსი ჰქონდათ უნიკალური, იცოდნენ, როგორ უნდა ჩაედინათ ბოროტება.

***– „ოცნებას“ რისი რესურსი აქვს?***

– ამათში არის სიკეთის ნიშნები, მაგრამ არ იციან, როგორ აკეთონ ეს სიკეთე, იმიტომ, რომ არ არიან პროფესიონალები. ჩვენ მესამე ვარიანტი გვჭირდება – კეთილი პროფესიონალები, რომლებიც არ არიან ამ სიტუაციაში.

ეს მთავრობა არ არის ჩამოყალიბებული პოლიტიკურ ხედვებში. ძალიან ბევრი რამ არ იციან. თუ ჩვენ დემოკრატიისკენ მივდივართ, მაშინ ეს სწორი გზა არ არის. ასე აკეთებდა ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მიდიოდა ავტორიტარიზმისკენ.

გაურკვეველი სიტუაციაა, არც ავტორიტარიზმისკენ მიდიან, მაგრამ ეს არც დემოკრატიაა. ლაქები ჩნდება სახელმწიფოს სხეულზე, რაც ბევრ კითხვას ბადებს. ნაცმოძრაობა ჩამოყალიბებული იყო და იცოდა, რომ ავტორიტარული მართვა სურდა, ესენი კი ჩამოყალიბებული არ არიან და არ იციან, რა უნდათ. აი, ესაა მათ შორის პრინციპული განსხვავება.

***– ამით ჩანს „ოცნების“ ხელისუფლების არაპროფესიონალიზმი?***

– რა თქმა უნდა. ესენი არაპროფესიონალები არიან ქვეყნის მართვაში. შეიძლება, კარგად იციან, ტურიზმი რა არის, კარგად იციან, ბიზნესის მართვა რა არის, იციან სხვადასხვა ეკონომიკური სფეროები, მაგრამ, ჯამში, ეს არაფერს იძლევა, არ იძლევა პოლიტიკას.

***– რას ფიქრობთ ახალ პრემიერ-მინისტრზე, ახალ გუნდზე, რამდენად შეძლებენ ისინი შექმნილი ვითარების გამოსწორებას?***

– ასეთი ღრმა მინუსების ფონზე არც ერთ პრემიერ-მინისტრს არ დაუწყია მუშაობა, იმავე ნაციონალური მოძრაობიდან მოყოლებული. თავად ბიძინა ივანიშვილიც დადებითი კონტექსტით მოვიდა. ის ცნობადი სახეც იყო. ბახტაძე მოდის უარყოფითი კონტექსტიდან. მან ორი უდიდესი შეცდომა დაუშვა.

***– რომელ შეცდომებს გულისხმობთ?***

– მაშინ, როცა მთელმა ქვეყანამ ზურგი შეაქცია ნაციონალურ მოძრაობას და ხმის მიცემასაც არ აპირებდა მისთვის, ეს ადამიანი არა მარტო ხმას აძლევდა, არამედ ფულსაც აძლევდა, ანუ ის საერთოდ აზრზე არ იყო, რა ხდებოდა ქვეყანაში 6 წლის წინ და 6 წელი დიდი დრო არ არის.

***– დიდი დრო რისთვის?***

– ასე მალე აზრზე ვერ მოვიდოდა. ეს ერთი და მეორე, მან აღიარა, ეს ჩემი ფული კი არ იყო, უბრალოდ, ჩემი ანგარიშით გადარიცხესო. ეს კიდევ უარესი, ანუ მან დაადასტურა, რომ ნაციონალების დროს კორუფცია იყო და ამ კორუფციაში თვითონ მონაწილეობდა. ამაზე კი ხმა არც ნაცმოძრაობამ ამოიღო და არც – ევროპულმა საქართველომ.

ასეთი აღიარებების შემდეგ პრემიერ-მინისტრები თანამდებობებიდან მიდიან, კი არ მოდიან!

***– ანუ უარყოფითია თქვენი შეფასებები ბახტაძის მიმართ?***

– პიროვნულად მის მიმართ მე არც დადებითი გამაჩნია რამე და არც – უარყოფითი. მე ვსაუბრობ ფაქტებზე. გამიხარდება, თუ ის კარგი პრემიერი იქნება. მე მართლა ვგულშემატკივრობ „ქართულ ოცნებას“ და მინდა, რომ წარმატებულები იყვნენ და გამოასწორონ ის დანაშაულებრივი შეცდომები, რომლებიც დაუტოვა მათ ნაციონალურმა მოძრაობამ.

***– კვირიკაშვილზე რას იტყვით?***

– პირადად მე ჩემი პრეტენზიები მაქვს კვირიკაშვილთან, მაგრამ ვერ გავიგე, რატომ გაუშვეს. ეკონომიკური აღმავლობა იყო და ამ დროს ერთ ეკონომიკის მინისტრს ცვლიან მეორით. მე კი ვხვდები, რაშიცაა საქმე და მომწონს ეს, მაგრამ ეთქვათ ეს, რომ ხალხსაც გაეგო. ეს ცვლილებები მოხდა მას შემდეგ, რაც ივანიშვილი დაბრუნდა პარტიის თავმჯდომარედ და მას ამის განხორციელების უფლება მიეცა.

***– რა არ მოსწონდა კვირიკაშვილის საქმიანობაში ივანიშვილს?***

– მას არ მოეწონა, როდესაც ქვეყანა მდიდრდებოდა და ეს სიმდიდრე არ ნაწილდებოდა საზოგადოებაზე. ღარიბები უარესად ღარიბდებოდნენ და ვინც ისედაც მდიდარი იყო, კიდევ უფრო მეტი ფული იშოვა.

ერთ პატარა ისტორიას მოგიყვებით. მეც ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ, არ მყავს ავტომობილი და საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვსარგებლობ. როცა გავხდი მინისტრი, ბუნებრივია, მანქანა მემსახურებოდა და არ ვიყავი ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 4 წელი პაუზა მქონდა. 4 წლის შემდეგ რომ ჩავედი ისევ მეტროში, გავოგნდი სიღარიბის დონით! პატარა ბავშვი რომ სახლში იზრდება, შენ თვალწინ, ვერ ხვდები, როგორ იზრდება, მაგრამ საკმარისია, ერთი წელი არ ნახო, მიხვდები, როგორ გაიზარდა.

***– ამ ოთხმა წელმა ბევრი რამ შეცვალა?***

– მე ამ ოთხ წელიწადში მივხვდი, რომ სიღარიბე, რომელიც იყო 2012 წლისთვის, 2016 წელს კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა. დავინახე, რომ ღარიბი ხალხი კიდევ უფრო მეტად გაღარიბდა. ეს დაინახა ივანიშვილმაც და მიხვდა, რომ თუ ქვეყანა მდიდრდება, არ უნდა მდიდრდებოდნენ მხოლოდ ბანკირები. თვალშისაცემი კაპიტალიზმი წამოვიდა.

***– ეს საზიანოა ჩვენი ქვეყნისთვის?***

– ეს განვითარებულ ქვეყნებში ცუდი არ არის, მაგრამ, თუ პარტიას პრეტენზია აქვს სოციალისტურობაზე და „ქართული ოცნება“ თავს იწონებს თავისი სოციალისტურობით, როცა სოციალისტური პარტია გყავს ხელისუფლებაში, ბანკირები არ უნდა მდიდრდებოდნენ! ეს პარადოქსია! ხოლო როცა კვირიკაშვილი გადადგა, მან თავი მოიწონა, უკაცრავად, მე მემარჯვენე რეფორმებს ვატარებდიო. მან კიდევ უარესი თქვა. შე კაი კაცო, ე.ი. შენ არც კი იცი, რა პარტიის თავმჯდომარე იყავი?! თავმჯდომარე ატარებს მემარჯვენე რეფორმებს და არც კი იცის, რომ პარტია სოციალისტურია?!

***– აქ მოხდა დაჯახება?***

– მე მგონი, სწორედ აქ მოხდა დაჯახება. ორი იდეოლოგია შეეჯახა ერთმანეთს ერთ პარტიაში. ვფიქრობ, ივანიშვილმა გამოიჩინა გონიერება, მიხვდა, რომ სიტუაცია არასწორად მიდიოდა და საკმაოდ უხეში ფორმებით გაუშვა კვირიკაშვილი. როდესაც ინფრასტრუქტურის მინისტრი შეიცვალა და დაინიშნა ჩემთვის ღრმად პატივსაცემი მაია ცქიტიშვილი, მაშინ მივხვდი, რომ რაღაცაში იყო საქმე. ისე არ დაინიშნებოდა. აქედან იწყება ახალი პროცესი „ქართულ ოცნებაში“.

***– რა პროცესი?***

– ვისაც აინტერესებს, როდის დაიწყო ახალი პროცესები ხელისუფლებაში, მაშინ, როდესაც დაინიშნა მაია ცქიტიშვილი ინფრასტრუქტურის მინისტრად. სულ სხვა პროცესები წავა და ამას ყველა ნახავს.

***– შესაძლოა, პრეზიდენტადაც ვიხილოთ ცქიტიშვილიო.***

– ძალიან გამიხარდება, თუმცა პრეზიდენტობა საქართველოში უფრო ცერემონიალურია და საგარეო ურთიერთობებზეა ორიენტირებული, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის პოსტი მაღალი თანამდებობაა, მირჩევნია, რომ მაია ცქიტიშვილს მთავრობაში ვხედავდე, თუნდაც პრემიერ-მინისტრად.

***– ივანიშვილის გაპრეზიდენტებაზე რას ფიქრობთ?***

– ეს ყველაზე კარგი ვარიანტი იქნებოდა. თუმცა მეეჭვება, რომ დათანხმდეს. თუ დათანხმდება, ვიტყვი, რომ ძალიან კარგი ვარიანტია. ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ ერთ შემთხვევაში დათანხმდებოდა.

***– რა შემთხვევაში?***

– თუ ოპოზიცია იქნებოდა ერთიანი და ეყოლებოდა ერთი ძლიერი კანდიდატი. თუმცა ამ პროცესმა ჩაიარა. ნაცმოძრაობამ თავისი კანდიდატი წამოაყენა, ევროპულმა საქართველომ – თავისი, აშკარაა, რომ ნათელაშვილი თავის კანდიდატურას წამოაყენებს. ასევე მარგველაშვილ-უსუფაშვილს შორის მიმდინარეობს გარკვეული კონსულტაციები.

ამ არჩევნებში ცალსახად მაინც „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. ამაში ორი აზრი არ არსებობს. ამ არჩევნებში მე ვერ ვხედავ ვერანაირ ინტრიგას. ერთადერთი ინტრიგა ამ არჩევნებში არის ის, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს პირველ ტურში, თუ იქნება მეორე ტური.

# ტრამპ-პუტინის შეთანხმებით სირიაში ლტოლვილების დაბრუნების პროცესი იწყება

მარიამ მჭედლიშვილი

**29 მაისს სირიის რეჟიმის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის“ აღიარების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ დამასკო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან ითანამშრომლებდა. აფხაზეთის ადმინისტრაცია სირიაში ადრეც ჩასულა. აფხაზებს სირიასთან ძველი კონტაქტები აქვთ. იქ ცხოვრობს აფხაზური დიასპორა. რეპატრიანტების ნაწილი აფხაზეთში დაბრუნდა. მათ აფხაზურ ენას ასწავლიან.**



სირიის მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დამასკოში ჩასვლა აფხაზებს ოსებმა დაასწრეს. სირიაში იმყოფებოდა ცხინვალის რეგიონის რეჟიმის დელეგაცია. გაფორმდა შეთანხმება „დიპლომატიური ურთიერთობების“ დამყარების შესახებ და ხელი მოეწერა მეგობრობისა და თანამშრომლობის „ხელშეკრულებას“.

გადაწყდა, რომ მხარეები ითანამშრომლებენ ეკონომიკის, ვაჭრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის სფეროებში და ხელს შეუწყობენ ერთმანეთის ინვესტიციებს.

ცხინვალის რეგიონის მმართველები აცხადებენ, რომ ახლო აღმოსავლეთში პირველად იყვნენ. მათი მიზანია, გააფართოვონ საერთაშორისო აღიარება.

ექსპერტების თქმით, ოსებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება დანგრეული სირიის აღდგენაში. მათ უჩნდებათ გასაღების ახალი ბაზარიც.

ლიბანის მედიის ინფორმაციით, ჰელსინკიში გადაწყდა, რომ აშშ და რუსეთი იქნებიან საკვანძო სახელმწიფოები სირიის აღდგენაში. სხვა ქვეყნებსა და უცხოურ კომპანიებს ისინი მისცემენ ლიცენზიებს. ამერიკელები შეინარჩუნებენ სირიის აღმოსავლეთს, რუსები კი არ დათმობენ სანაპიროს.

საკითხავია, როგორი დამოკიდებულება ექნებათ ამერიკელებს აფხაზებისა და ოსების საქმიანობაზე სირიაში. ამის გამო პროტესტი, პირველ რიგში, ოფიციალურმა თბილისმა უნდა გამოხატოს.

ლიბანური წყაროების მტკიცებით, ვაშინგტონი სირიაში მჭიდროდ ითანამშრომლებს მოსკოვთან, ერაყში კი იგი უარს არ ამბობს გარიგებაზე მტრად გამოცხადებულ ირანთან.

ამერიკა-რუსეთის შეთანხმებით, სირიაში, საკუთარ სახლებში უნდა დაბრუნდეს 1,7 მილიონი ლტოლვილი. დაბრუნების მარშრუტებზე მუშაობა დაწყებულია.

დევნილების დაბრუნების მიუხედავად, ბრძოლები ჯერ არ შეწყდება დეირ-ეზ-ზორში, იდლიბსა და სირიის სამხრეთში. პრობლემის პოლიტიკურ მოგვარებაზე საუბარი ამ ეტაპზე ნაადრევია.

ლიბანელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საკითხი დასავლეთის სახელმწიფოების მონაწილეობით ჟენევაში გადაწყდება. რუსეთი ცდილობს, ლტოლვილების დაბრუნებით არ შელახოს სირიის რეჟიმთან დადებული შეთანხმებები, ასევე – ამერიკელებთან და ევროპელებთან მიღწეული ზეპირი გარიგებები. ეს აჭიანურებს პროცესს.

ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ნებისმიერ შემთხვევაში საჩქაროდ გადასაჭრელია 3 ამოცანა: ცეცხლის შეწყვეტა, დევნილების დაბრუნება და ქვეყნის აღდგენა.

ადრე საუბრობდნენ იმაზე, რომ სირიის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ირანი იქნებოდა.

ამერიკისა და რუსეთის შეხვედრის შემდეგ ლაპარაკია ამ პროცესებიდან ირანის ჩამოშორებაზე და იმაზე, რომ სირიას ძირითადად აშშ და რუსეთი აღადგენენ.

# მამუკა კუდავა: „ნატოში საქართველოს წევრობა გადაწყვეტილია. მთავარი ისაა, როდის და რა პირობებით“

## ფრანც კლინცევიჩი: „რუსეთს არ სჭირდება საქართველოს დაპყრობა, მაგრამ, თუ საქართველო აქციეს რუსეთის საწინააღმდეგო პლაცდარმად, ჩვენ რეაგირებას მოვახდენთ“



როდის გაწევრიანდება საქართველო ნატოში და რა დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი ქვეყანაში? ამის შესახებ ნიუ იორკში ბაზირებულ რუსულენოვან ტელევიზიაში (RTVI) სტუდიის ხელმძღვანელს, ჟურნალისტ ეკატერინე კოტრიკაძეს ესაუბრება საქართველოს ყოფილი სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში, დღეს კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი მამუკა კუდავა.

ჩართვებში: პოლიტიკური ანალიზისა და მენეჯმენტის ინსტიტუტის დირექტორი რუსლან ბორტნიკი (უკრაინა) და რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრი ფრანც კლინცევიჩი (კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე).

### საუბარი ჰელსინკიში ტრამპისა და პუტინის შეხვედრამდე შედგა

**ეკატერინე კოტრიკაძე: დეკლარაციაში, რომელსაც ხელი მოაწერა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა მონაწილემ, არის მოთხოვნა რუსეთის მიმართ, უკან წაიღოს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის – დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება, აგრეთვე დააბრუნოს ჯარები ომამდელ პოზიციებამდე, ესე იგი გამოიყვანოს თავისი ნაწილები თვითაღიარებული რესპუბლიკებიდან. არავითარი ეჭვი არაა, რომ რუსეთი იგნორირებას გაუწევს ნატოს მოთხოვნას, რაც არაერთხელ მომხდარა. მეტიც, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელიც, როგორც ჩანს, აღაფრთოვანა ტრამპის მიერ ნატოს მიმართ გამოთქმულმა კრიტიკამ, ტვიტერზე დაწერა: „სანამ უსარგებლო სამხედრო ბლოკი ნატო ცდილობს, პროვოკაციულ მოქმედებაში დაგვადანაშაულოს და აგრძელებს კბილების ღრჭენას ბრიუსელში, ჩვენ ვემზადებით 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საყურებლად.“**

ჩვენი სტუმარია საქართველოს ყოფილი ელჩი საფრანგეთში, ამჟამად კი კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი მამუკა კუდავა. გმადლობთ, რომ გვეწვიეთ.

პირველ რიგში გკითხავთ: ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ თქვენ იყავით ის ადამიანი, რომელმაც წინ წამოსწია საქართველოს ინტერესები 2008 წელს ნატოს სამიტზე ბუქარესტში. მაშინ საქართველოს მაპის მიღების იმედი ჰქონდა და იმის დიდი შანსიც არსებობდა, რომ მიიღებდა ნატოში გაწევრიანების მტკიცე გარანტიას. მაგრამ, როგორც ამბობენ, ანგელა მერკელმა დაჟინებით მოითხოვა, რომ საქართველოსთვის ეს გარანტია არ მიეცათ. მას შემდეგ შეიცვალა თუ არა ნატოს დამოკიდებულება საქართველოს მიმართ?

მამუკა კუდავა: კარგი კითხვაა. სწორედ წელს სრულდება ათი წელი რუსეთ-საქართველოს ომიდან. ამიტომ უნდა გავიხსენო ყველა ის დეტალი, თუ რატომ მოხდა ეს და როგორი პოზიცია აქვს საქართველოს დღეს. ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც წინ უსწრებდა ომს, იყო ნატოს აპრილის სამიტი ბუქარესტში, ხოლო მანამდე, თებერვალში, დასავლეთმა მიიღო გადაწყვეტილება, მხარი დაეჭირათ კოსოვოს დამოუკიდებლობისთვის. სწორედ ამ საკითხებმა განაპირობა ომი.

ეკატერინე კოტრიკაძე: ბევრს, უფრო სწორად, ძალიან ბევრს – დასავლელ და ქართველ პოლიტოლოგებს და ზოგიერთ რუს პოლიტოლოგსაც – აქვს ასეთი შეხედულება, რომ ბუქარესტის სამიტზე თუ საქართველოს მიიწვევდნენ ნატოში და არ შემოიფარგლებოდნენ რაღაც აღთქმებით, რომ იგი ოდესმე ნატოს წევრი გახდებოდა, მაშინ რუსეთი არ შეიჭრებოდა საქართველოში. მეთანხმებით?

**მამუკა კუდავა:** მე გეთანხმებით იმ კონტექსტში, რომ თუ ამ სამიტზე თანხმობა იქნებოდა ნატოს წევრ ქვეყნებს შორის, რუსეთისთვის, ცხადია, ძალიან ძნელი აღმოჩნდებოდა აგრესიის განხორციელება დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. შექმნილი ვითარება და დასავლეთის რეაქცია ომზე რუსეთისთვის გახდა მაგალითი, რომ შემდგომში აგრესია განეხორციელებინა უკრაინის წინააღმდეგ და ყირიმის ანექსია მოეხდინა. შეიძლება ვიმსჯელოთ ბევრ საკითხზე, შეხედულებაზე თუ არგუმენტზე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ რუსეთი გახდა ევროპაში პირველი სახელმწიფო, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაარღვია საზღვრები, ჯერ საქართველოსი, შემდეგ კი – უკრაინის.

ამიტომ ნატოს ამჟამინდელ სამიტზე ეს საკითხი ძალიან აქტუალური იყო. ნატოს წევრი ქვეყნები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდნენ ათი წლის წინ ბუქარესტში მიღებული დეკლარაციის მნიშვნელობას, მაგრამ ყველა, ვინც პოლიტიკას განსაზღვრავს სხვადასხვა მიმართულებით, ხვდება, რომ დღეს არაა ამის დრო და შესაძლებლობა, თვით ტრამპმაც ხაზი გაუსვა, რომ დღეს შეიძლება არა, მაგრამ მომავალში საქართველოს და იგულისხმება უკრაინასაც, რადგან ჩვენ ერთად ვართ ამ პროცესში, აქვთ ნატოს წევრობის შანსი.

**ეკატერინე კოტრიკაძე: ბატონო მამუკა, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ოდესმე საქართველო გახდება ნატოს წევრი, და უკრაინაც, მაგრამ ექვსი წლის წინ, როცა მე საქართველოში ვცხოვრობდი, ქვეყნის ბევრი მოქალაქე, რომლებიც მტკიცედ უჭერდნენ მხარს ნატოში ინტეგრაციას, უკვე მაშინ იყვნენ იმედგაცრუებულნი, ხოლო ახლა, როგორც პრესაში ვკითხულობ, მათ შორის, ქართულშიც, იმედგაცრუება სულ იზრდება და იზრდება, ამას კი გარკვეული დესტრუქციული ძალები უწყობენ ხელს, თუ სწორად მესმის, ანტიდასავლური ძალები – როგორც პროსადავლური ძალები მიიჩნევენ. გაქვთ თუ არა თქვენ, როგორც დიპლომატს, როგორც ელჩს, თუნდაც ყოფილს, წარმოდგენა იმის შესახებ, რა პროგნოზის გაკეთება შეიძლება, რა პერსპექტივა არსებობს, როდის მოხდება ნატოში შესვლა?**

მამუკა კუდავა: ეს საკითხი, ცხადია, ძალიან აქტუალურია, არა მხოლოდ საქართველოში და უკრაინაში, არამედ რუსეთშიც, იმიტომ, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც მობეზრდათ ლოდინი, და არიან ადამიანებიც, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობენ. მთავარი კი ისაა, გავიგოთ, რომ საჭიროა სტაბილურობა ამ რეგიონში, ამიტომაა, რომ ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან საქართველო და უკრაინა, ისწრაფვიან ნატოსკენ, რათა თავი დაიცვან.

მათ უნდათ, რომ საბჭოთა კავშირში 70-წლიანი ყოფნის შემდეგ, არ იყოს უსაფრთხოების ვაკუუმი. აი, ეს უნდა გავიგოთ. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ საქმე გვაქვს, ცხადია, აგრესიულ რუსეთთან, რომელმაც აგერ უკვე ათი წლის მანძილზე ორჯერ დაარღვია სუვერენული ქვეყნების საზღვრები, და ამიტომ, რაც დღეს ტრამპმა თქვა და რასაც ამბობს მრავალი ექსპერტი საქართველოს და უკრაინის წევრობასთან დაკავშირებით, აქტუალური იქნება მანამდე, სანამ არ შეიცვლება გეოპოლიტიკური სიტუაცია რეგიონში.

საჭიროა, რუსეთში შეიგნონ, რომ ყველა ქვეყანას აქვს სუვერენული უფლება, იყოს წევრი ნებისმიერი ორგანიზაციისა, იქნება ეს ევროკავშირი, ნატო თუ სხვა. კონკურენცია, რომელზეც ტრამპი ლაპარაკობდა დღეს სამიტზე...

**ეკატერინე კოტრიკაძე: კონკურენცია პუტინთან...**

**მამუკა კუდავა:** რა თქმა უნდა, პუტინთან... არსებობს დასავლეთსა და რუსეთს შორის, და ისინი ამას სხვადასხვანაირად იგებენ. და სანამ არ შეიცვლება გეოპოლიტიკური სიტუაცია, რა თქმა უნდა, ძნელია წევრობაზე სერიოზული ლაპარაკი. მაგრამ ყველაზე მთავარი იმ ქვეყნებისთვის, როგორებიც არიან საქართველო და უკრაინა, ის არის, რომ კომუნიკეს ხელმომწერი ნატოს ყველა წევრი მხარს უჭერს ტერიტორიულ მთლიანობას და მათი პოზიცია წევრობასთან დაკავშირებით არ იცვლება.

**ეკატერინე კოტრიკაძე: კარგი. მაგრამ მაინც საინტერესო დეტალია, როდესაც საქართველოს ელჩად მუშაობდით საფრანგეთში, თქვენ ევროპული პოლიტიკის ცენტრში ტრიალებდით, და, ალბათ, უფრო კარგად ხედავთ, რომელია ის ქვეყნები, რომლებიც გამოდიან საქართველოს ინტეგრაციის წინააღმდეგ ალიანსში. ზოგიერთი მონაცემით, ეს ანგელა მერკელია, აგრეთვე საბერძნეთი, საფრანგეთი. ხოლო ახლა ისმის ვარაუდი იმის შესახებ, რომ საქართველოს და უკრაინას იმიტომ არ აძლევენ კონკრეტულ გარანტიებს და დაპირებებს, რომ, როგორც ათი წლის წინ, ნახევარი სიტყვითაც არ გააღიზიანონ რუსეთი.**

**მამუკა კუდავა:** ასეთი პოზიცია, ცხადია, არსებობს, მაშინ, ათი წლის წინ, მერკელი ამბობდა, და სხვა სკეპტიკურად განწყობილი ქვეყნებიც, რომ გაწევრიანების საკითხი იმჟამად არ იდგა, თუმცა, ნატოს წესდებაში არის მუხლი, დადასტურებული ხელმომწერთა მიერ, რომ ყოველ ევროპულ ქვეყანას შეუძლია გახდეს ნატოს წევრი. ასე რომ, ნატოს წევრობის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო მაშინაც და გადაწყვეტილია დღესაც. მთავარი ისაა, როდის და რა პირობებით.

**ეკატერინე კოტრიკაძე:და ვინ არის მთავარი მოწინააღმდეგე?**

**მამუკა კუდავა:**არ ვიტყოდი, მოწინააღმდეგე-მეთქი. ესენია სკეპტიკურად განწყობილი ქვეყნები, რომლებიც ამბობენ, რომ არსებობს რევიზიონისტული რუსეთი, რომელსაც აქვს თავისი ინტერესები, ამიტომ, რათა არ წარმოიშვას დამატებითი საკითხები და პრობლემები. არადა, არსებობს სირიის, კორეისა და სხვა გლობალური საკითხები, ამიტომ უნდა მოვიცადოთ. მთავარი აქ, ცხადია, არის გერმანია, ახლაც და ათი წლის წინათაც. მოწინააღმდეგე არა, მაგრამ ახლა არა. ასევე ითქმის სხვა დასავლეთევროპელებზე – საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია.

**ეკატერინე კოტრიკაძე:თუ იყო იმის მცდელობა, რომ მათ შეიცვალონ შეხედულება?**

**მამუკა კუდავა:**ეს, რა თქმა უნდა, ძნელია. დიპლომატიური აქტიურობა და მოლაპარაკებები გრძელდება ყოველდღიურად, ყველგან, არა მხოლოდ ნატოში. მთავარია, გავიაზროთ, რომ ის ვითარება აღარაა, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ იყო, როდესაც პოლიტიკურად ყველაფერი შეიცვალა. ალბათ, უნდა ველოდოთ მსგავს მომენტს. საქართველო ემზადება ამისთვის. ის უნდა გახდეს ძალიან განვითარებული, დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყანა, რათა მზად შეხვდეს ამ მომენტს, შეხვდეს ძალიან სერიოზულად.

**ეკატერინე კოტრიკაძე: კეთილი. უკრაინა რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობაშია ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ამას შეიძლება ხელი შეუშალოს უნგრეთის პოზიციამ. უკრაინის განათლების კანონთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში სწავლების გადაყვანას უკრაინულ ენაზე, უნგრეთი გეგმავს, საერთოდ დაბლოკოს ალიანსთან კიევის კონსულტაციები. უნგრეთს მიაჩნია, რომ ეს კანონი ეთნიკური უნგრელების უფლებებს ლახავს, რომლებიც იმიერკარპატეთში ცხოვრობენ. ნატოში უკრაინის გაწევრიანების პერსპექტივა კიდევ იმიტომაა ბუნდოვანი, რომ ბრიუსელში დარწმუნებულნი არ არიან უკრაინული რეფორმების წარმატებაში. ამაზე პირდაპირ ლაპარაკობდნენ ნატოს სამიტზე ბრიუსელში. ამის შესახებ გავესაუბრებით პოლიტიკური ანალიზისა და მენეჯმენტის ინსტიტუტის დირექტორ რუსლან ბორტნიკს.**

რუსლან, ნატოში ამბობენ, და ჩემი სტუმარი მამუკა კუდავაც ამბობს, რომ დადგება დღე და საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები. წინასწარი მონაცემებით, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ ბელგიის დედაქალაქიდან, უკრაინისთვის ეს პროცესი რამდენადმე რთული იქნება. როგორია თქვენი პოზიცია, თქვენი პროგნოზი, როგორ წარიმართება ინტეგრაციის ეს რთული პროცესი?

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ირაკლი ხმალაძე: „დედაქალაქში არსებული მიკროავტობუსების რაოდენობა შემცირდება“



2019-2021 წლებში, დედაქალაქში არსებული მიკროავტობუსების რაოდენობა შემცირდება. ამის შესახებ თბილისის ვიცემერმა ირაკლი ხმალაძემ გუშინ სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, მიკროავტობუსებმა, შესაძლოა, მხოლოდ ისეთ არეალებში იმოძრაონ, სადაც დიდი ავტობუსის მოძრაობა შეუძლებელია.

ირაკლი ხმალაძის განცხადებით, დღეისათვის დედაქალაქში დაახლოებით 2.000 მიკროავტობუსი მოძრაობს.

– დღეს დედაქალაქს დაახლოებით 2000 ერთეული მიკროავტობუსი ემსახურება. კვლევის საფუძველზე, მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება. მიკროავტობუსები, შესაძლებელია, მხოლოდ ისეთ არეალებში დარჩეს, სადაც, გაბარიტებიდან გამომდინარე, უფრო დიდი ავტობუსის მოძრაობა შეუძლებელია. ეს იქნება საშუალება მოქალაქეებისთვის, ცენტრალურ სატრანსპორტო ჰაბებს დაუკავშირდნენ, – განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის თანახმად, 2019-2021 წლებში მეტროს 12 ახალი შემადგენლობა დაემატება, ხოლო ავტობუსებისა და მეტროს განვითარების პარალელურად, იგეგმება მიკროავტობუსების რაოდენობის შემცირება და მათი სრულად განახლება.

# რომელი მწარმოებლის ღვინის შეტანა შეიზღუდა რუსეთში, ამას ეროვნული სააგენტო არ ასაჯაროებს

რომელი ქართველი მწარმოებლის ღვინის შეტანა შეიზღუდა რუსეთში, საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოში ვერ ასახელებენ. როგორც უწყებაში „კომერსანტს" განუცხადეს, იმის გამო, რომ ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა, მათ არ აქვთ ინფორმაცია, თუ რომელი ქართველი მწარმოებლის ღვინოს შეექმნა პრობლემა.



გარდა ამისა, ღვინის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაშიც, ისინი ამას არ იტყოდნენ, რადგან ბიზნესი არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდებოდა. მათი განცხადებით, ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქართული ღვინის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და მისი კონტროლია.

2017 წელს, „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში" შესული ცვლილებებით, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან სავალდებულო დეგუსტაციას დაექვემდებარა ყველა კატეგორიის საექსპორტო ღვინო. 2017 წლის პირველ იანვრამდე სავალდებულო დეგუსტაციას მხოლოდ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები ექვემდებარებოდა. აღნიშნული ცვლილების ინიციატივა კერძო სექტორის მხრიდან მოდიოდა და მიზანი, სწორედ ღვინის ხარისხის გაუმჯობესება იყო.

საექსპორტოდ განკუთვნილი ყველა კატეგორიის ღვინის ორგანოლეპტიკური შემოწმების მიზნით ღვინის ეროვნულ სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ მიმდინარე წლის 6 თვეში დეგუსტაციაზე შემოსული 4.813 ნიმუშიდან 93 შეაჩერა. 2017 წელს 3.440 ნიმუშიდან უარყოფითად 299 შეფასდა.

საკანონმდებლო ცვლილებებით ასევე მოხდა საქართველოდან ჩამოსასხმელი ღვინის ექსპორტის აკრძალვა, რათა არ მოხდეს ქვეყნის გარეთ ქართული ღვინის ფალსიფიკაცია.

ამასთან ერთად, სააგენტოს მიერ ღვინის მწარმოებელ კომპანიებში განხორციელებული სახელმწიფო და საინსპექციო კონტროლის შედეგად, წელს 6 თვეში აღებული 123 ნიმუშიდან 15 ნიმუში არ შეესაბამებოდა აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ ლოტზე გაცემულ ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებს, რის საფუძველზეც კონკრეტულ ღვინოების ექსპორტზე უარი ეთქვათ. 2017 წელს საექსპორტო პარტიებიდან აღებული და შემოწმებული 469 ნიმუშიდან ექსპორტირებაზე უარი 27 ნიმუშს განეცხადა.

დღეისათვის, 50-ზე მეტ ქვეყანას შორის, რუსეთი კვლავ რჩება ქართული ღვინის ყველაზე მსხვილ საექსპორტო ბაზრად. მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით, ექსპორტირებულია 24 მლნ ბოთლი ღვინო, ზრდამ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 24% შეადგინა.

ის ეროვნული სააგენტოში მიიჩნევენ, რომ ხარისხზე ზრუნვა არის მუდმივი პროცესი და მზად არის გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა როგორც კერძო სექტორთან, ისე შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან, რათა ათეულ მილიონობით წარმოებული ბოთლიდან აბსოლუტური უმრავლესობა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

როგორც ცნობილია, გასულ კვირას ქართული ღვინის ნაწილი, 16 ათასი ლიტრი რუსულ ბაზარზე ისევ დაიბლოკა. „როსპოტრებნადზორმა" ალკოჰოლურ სასმელებზე ხარისხის კონტროლის გამკაცრება დააანონსა. უხარისხობის მიზეზით რუსეთის ფედერაციამ საქართველოდან ალკოჰოლური სასმელების შეტანა 2006 წელს უკვე აკრძალა, მაშინ რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს გადაწყვეტილებამ ქართულ ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა.

ქართული ღვინისა და კონიაკის ექსპორტი რუსეთში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში დაბრუნდა.

# მიხეილ კორძახია: „არ მახსენდება არც ერთი დეპუტატი, რომელსაც შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონში რამე ცვლილებების შეტანა სურდა"




— შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონთან დაკავშირებით შარშან 1 წლის განმავლობაში პარლამენტის ინიციატივით მოხდა სამუშაო ჯგუფის შექმნა, თუმცა არ მახსენდება, ნამდვილად არცერთი დეპუტატი, რომელსაც განსაკუთრებით სურდა, რაიმე ცვლილებების შეტანა, — განაცხადა რადიო „კომერსანტის" გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად" დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტმა მიხეილ კორძახიამ.

რამდენიმე დღის წინ შრომის უსაფრთხოების შესახებ ახალი კანონის პროექტის შესახებ ორდღიანი სამუშაო შეხვედრა შედგა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პროექტის ინიციატორ დეპუტატებთან სოფო კილაძესთან და დიმიტრი ცქიტიშვილთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, სახალხო დამცველის ოფისი, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ინტერესების დამცველმა ორგანიზაციებმა.

— პარლამენტის მიერ ინიცირებული ორდღიანი განხილვა, ვფიქრობ, უშედეგოდ დამთავრდა. რეალურად უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს პრობლემები არა კანონმდებლობაში, არამედ სახელმწიფოს მხრიდან ტრაგიკული შემთხვევების შეფასების ნაწილში უნდა ვეძიოთ. სახელმწიფო უშვებს შეცდომებს, ვინაიდან არ არსებობს სრული ინფორმაცია საზოგადოებისთვისა და სპეციალისტებისთვის, თუ რატომ მოხდა ეს უბედური შემთხვევები, ვინ არიან პასუხისმგებელი პირები. ჩვენ თუ გვეცოდინება ზუსტად რა მოხდა, შემდგომ უკვე მარტივი იქნება პრევენციაზე ფიქრი.

სამწუხაროდ, დღემდე არ გვაქვს აპრილში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამოძიების შედეგები, არ გვაქვს ინფორმაცია მანამდე მომხდარზე. თავის დროზე, რომ ჩატარებულიყო სწორად გამოძიება, დღეს ავიცილებდით ტრაგიკულ შემთხვევებს.

აგვისტოს შუა რიცხვებში, სავარაუდოდ, კიდევ შევიკრიბებით, თუმცა არ ვიცი, რა მიზანი ექნება რეალურად შეკრებას. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, — ამბობს მიხეილ კორძახია.

**კომერსანტი**

# კახა კალაძე: „საბუთის არქონის შემთხვევაში ტაქსის მძღოლი 200 ლარით დაჯარიმდება"

თბილისის მერიამ საკრებულოს დასამტკიცებლად გადაუგზავნა მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული რეგისტრაციის წესი, რომლის მიხედვით მგზავრთა გადაყვანის ნებართვის საბუთის მიღება სავალდებულო იქნება თბილისში მოძრავი კერძო, M1 კატეგორიის ტაქსებისთვის.




რეგულაციის დეტალებზე დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ ისაუბრა.

— ნებართვის მაძიებლები ძალიან მარტივად, სპეციალური ვებგვერდის საშუალებით გაივლიან რეგისტრაციას, რისთვისაც მიუთითებენ პირად მონაცემებს, მართვის მოწმობისა და ავტომანქანის ტექპასპორტის ნომრებს და ელექტრონულად გადაიხდიან ნებართვის საფასურს. ამ პროცედურის გავლის შემდეგ, მაქსიმუმ ორი დღის ვადაში მიიღებენ შესაბამის საბუთს. ამის გარდა, მსურველებს ექნებათ შესაძლებლობა, მიმართონ გამგეობებს, სადაც მიიღებენ ნებართვებს, — განმარტა დედაქალაქის მერმა.

მისივე თქმით, ნებართვის 1 წლით აღების საფასური ჩვეულებრივი, შიდაწვისძრავიანი ავტომანქანებისთვის 100 ლარს შეადგენს, „ჰიბრიდებისთვის" 50 ლარს, ხოლო ელექტრომობილებისთვის უფასოა.

— ამ მოსაკრებლის გარდა, რაიმე დამატებითი გადასახადის გადახდა ნებართვის მფლობელს არ მოუწევს. ტაქსის ნებართვის მფლობელი მუშაობისას ვალდებული იქნება, რომ დოკუმენტი სალონში გამოაკრას და ტაქსზე შესაბამისი ნიშანი განათავსოს. საბუთის არქონის შემთხვევაში, ტაქსის მძღოლი 200 ლარით დაჯარიმდება, —განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, ტაქსების სანებართვო რეფორმის მეორე ეტაპი 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყება და ყურადღება მიექცევა ტაქსის ვიზუალს — ფერს, რომელიც წინასწარ იქნება განსაზღვრული. გარდა ამისა, დამატებითი რეგულაციები შემუშავდება მარჯვენასაჭიანი და 3-კარიანი ტაქსებისთვის.

# 2019 წლიდან დედაქალაქში პარკირების საათობრივი და ზონალური სისტემა ამოქმედდება



2019 წლის პირველი იანვრიდან საპილოტე პროექტი განხორციელდება, რომელიც ქალაქის ცენტრალურ უბნებში ზონალურ-საათობრივი საფასურის შემოღებას ითვალისწინებს. ამის შესახებ თბილისის ვიცემერმა ირაკლი ხმალაძემ დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისი თქმით, პარკირების სისტემის ეფექტური რეგულირების პოლიტიკა სატრანსპორტო სისტემის განვითარებისკენ იქნება მიმართული.

— პარკირების საათობრივი და ზონალური სისტემა მუნიციპალიტეტისთვის საკმაოდ ძლიერი ინსტრუმენტი იქნება, რომელიც დაარეგულირებს, როგორც საპარკინგე ადგილებზე მოთხოვნა-მიწოდებას, ასევე, სატრანსპორტო ნაკადების მართვას. ამ სისტემიდან შემოსული თანხები მთლიანად მიმართული იქნება სატრანსპორტო სისტემის განვითარებისკენ. სისტემა ემსახურება იმას, რომ იმ ადგილებში, სადაც პარკირებაზე მოთხოვნა კრიტიკულად მაღალია, თუმცა საპარკინგე ადგილების საკმარისი რაოდენობა არ არის, მოთხოვნა შემცირდეს და ამის შედეგად, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მოთხოვნა გაიზარდოს. ამით ჩვენს მოქალაქეებს კიდევ ერთ დამატებით სტიმულს გავუჩენთ, რომ კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრონ და საპარკინგე ადგილების მოსაძებნად არ იწვალონ, — განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

მისივე თქმით, კომფორტული და უსაფრთხო საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებისთვის ცენტრალური მთავრობა და თბილისის მერია ბოლო წლებში აქტიურად ზრუნავენ.

# ქართული წარმოების ზეთისხილის ზეთს ბელორუსში ექსპორტზე გაიტანენ



ქართული წარმოების ზეთისხილის ზეთი სექტემბრის ბოლოს ბელორუსში ექსპორტზე გავა. როგორც „კომერსანტს" „ქართული ზეთისხილის" კომპანია „ჯეოლაივის" ხელმძღვანელმა გიორგი სვანიძემ განუცხადა, ბელორუსში თავდაპირველად მხოლოდ ერთი კონტეინერის გატანა მოხდება. შემდგომ საექსპორტო ქვეყნებად ჰოლანდია და რუსეთი მოიაზრება.

კომპანიის ხელმძღვანელი „კომერსანტთან" საუბრისას აცხადებს, რომ ქართულ ზეთისხილის ზეთს უცხოურ ბრენდებთან შედარებით ბაზარზე მეტი ცნობადობა სჭირდება.

კითხვაზე, რატომ სჭირდება ქართულ ზეთისხილის ზეთს ცნობადობის ამაღლება? გიორგი სვანიძე გვპასუხობს, რომ ხარისხიან, ნატურალურ ზეთს უხარისხო პროდუქცია კონკურენციას უწევს.

„ქართული ზეთისხილის" ზეთი 250-გრამიან, 500-გრამიან და 750-გრამიან მინის ქილებში იყიდება, ზეთისხილის მარინადი კი – 250, 500 და 750-გრამიან მინის ქილებშია წარმოდგენილი.

ქართული ზეთისხილის ზეთის ფასი ნახევარლიტრიან ქილაში 13 ლარიდან 16 ლარამდე მერყეობს. ხოლო 250-გრამიანი ქილის ფასი 7 ლარიდან 9 ლარამდეა.

კომპანიას ზეთისხილის ნერგები 50 ჰექტარზე აქვს გაშენებული. „ჯეოლაივი" რამდენიმე წელია საქართველოში ზეთისხილის პლანტაციების გაშენებით არის დაკავებული. ძირითადი პლანტაციები და ქარხანა კახეთშია განთავსებული. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტის საერთო საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 5 მილიონი ლარია.

# ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის პროექტირებისა და მშენებლობის ტენდერი შეწყდა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ინფორმაციით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის პროექტირებისა და მშენებლობის ტენდერი შეწყდა.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია იღებდა ვალდებულებას 26 მილიონ ლარად აეშენებინა 100 საწოლზე გათვლილი ინფექციური საავადმყოფო. შემოთავაზებული ფასი ეყრდნობოდა კომპანიის გათვლებს და არა დეტალურ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, რადგანაც სატენდერო პირობებით კომპანიას თავად უნდა შეექმნა საავადმყოფოს საპროექტო დოკუმენტაცია და აეშენებინა საავადმყოფო.

ვინაიდან საპროექტო დავალება იყო ზოგადი ხასიათის, დეტალურად არ განსაზღვრავდა საავადმყოფოს ტექნიკურ პარამეტრებს და მახასიათებლებს, ხოლო ერთდროულად პროექტირებასა და მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერის შემთხვევაში დამკვეთს შეზღუდული აქვს საპროექტო დოკუმენტაციის და ტექნიკური მაჩვენებლების განსაზღვრის და მათი ხარისხის კონტროლის შესაძლებლობა, მუნიციპალური განვითარების ფონდის ახალმა მენეჯმენტმა მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში რთული იქნებოდა სასურველი ხარისხის და პარამეტრების საავადმყოფოს მიღება.

ინფექციური საავადმყოფოს სპეციფიკის, მარეგლამენტირებელი მოთხოვნებისა და მთლიანობაში პროექტის სირთულის გათვალისწინებით, თანამედროვე სტანდარტებსა და მოთხოვნებთან უკეთ ადაპტირებული დიზაინის მისაღებად ფონდს მიზანშეწონილად მიაჩნია, ტენდერი გაიყოს და კონკურსი თავდაპირველად მხოლოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე გამოცხადდეს.

მას შემდეგ, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით შემუშავდება და მიღებული იქნება საავადმყოფოს სრულფასოვანი საპროექტო დოკუმენტაცია, მუნიციპალური განვითარების ფონდი ამ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით უკვე მშენებლობის ტენდერს გამოაცხადებს.

# „ჩემი თვალით ვნახე, როგორ წაეკიდა დედა-შვილს ცეცხლი. ბავშვი ჩემ თვალწინ დაიწვა“

## რას ყვება საბერძნეთში მცხოვრები ემიგრანტი ნინი მაისურაძე



საბერძნეთში გაჩენილი ხანძრის შესახებ ამბები. ჯი-თან ქართველი ემიგრანტები საუბრობენ.

ემიგრანტები გამოცემას როგორც ხანძრის კერების, ასევე მოსახლეობის შესახებ უყვებიან.

– ტელევიზორსა და ინტერნეტს ვერ ვწყდები – ყოველ წუთს გადმოსცემენ ინფორმაციას, სანუგეშო ჯერჯერობით არაფერია. ათენის გარშემო, სამი მხრიდან ხანძრის მასშტაბური კერები არ ცხრება. მე კატში ვცხოვრობ და მხოლოდ ამ ქალაქში, 5 ლოკალური ხანძარი მძვინვარებს, ვერ აქრობენ. ქუჩები, სახლის სახურავები, აივნები, ეზოები ფერფლით არის სავსე. გარშემო შავი კვამლია და ხალხი ვერ ხვდება, საით გაიქცეს, – ყვება საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, ვანდა ვირსალაძე.

მისივე თქმით, მთელი ქალაქი სახანძრო მანქანებით არის სავსე, მაგრამ ქარი ძლიერდება, რაც ხანძრის ქრობის სამუშაოებს ართულებს.

კიდევ ერთი ემიგრანტის თქმით, ხანძარი მძვინვარებს კინეტაშიც, სადაც ზღვის მთელ სანაპიროზე წიწვნარია გაშენებული და ხეივანს ცეცხლი ერთიანად ეკიდება.

– ტყიდან ყველაფერზე, გარშემო არსებულ ინფრასტრუქტურაზე ვრცელდება. ხალხი ზღვაში შეცვივდა, მაგრამ ისეთი ძლიერი ცეცხლი იყო, ზურგები დაგვეწვაო, ყვებოდნენ. დილით რამდენიმე ათეული მანქანა იყო დამწვარი, შემდეგ ალბათ უარესი ვითარება იქნებოდა. მე დავტოვე ქალაქი, თუმცა, ახლა სადაც ვარ, იქაც არ მგონია, უსაფრთხოდ ვიყო, რადგან საშინელი ქარია, – ამბობს იულია შამრაი.

– მარათონში ვცხოვრობ. გუშინ მატიში ვიყავი, იმ ადგილას, საიდანაც დაიწყო ცეცხლი, იქაურობა უკვე აღარ არსებობს, სადაც ვმუშაობ, იმ ადგილისკენ მივდიოდი, როდესაც პოლიციამ ჩამიარა და გამაფრთხილა – იქით არ წახვიდე, ცეცხლიაო. ვხედავდი ცეცხლს, მაგრამ არ მეგონა, თუ ისე სწრაფად მომიახლოვდებოდა. მე კი არა, იქ მცხოვრებლებსაც არ ეგონათ, მშვიდად იდგნენ და თავიანთ ბაღებში ხეხილს რწყავდნენ, რომ სველ ხეებს ცეცხლი არ მოსდებოდათ.

საცხობისკენ ვაპირებდი ჩასვლას და უცებ მოვტრიალდი თუ არა, დავინახე, რამდენიმე მეტრში აღმართული ცეცხლი, რომელიც უკან მომყვებოდა, გავიქეცი, მაგრამ არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. აქ ახალი ჩამოსული ვარ და გარდა ამისა, ბნელოდა. ცეცხლი წამებში ისე მომიახლოვდა, რომ სიმხურვალეს ზურგზე უკვე ვგრძნობდი.

შუქიც არ იყო, სადენები დაიწვა და შავ კვამლში გზას ველარ ვიკვლევდი. წივილ-კივილი და ბავშვების ტირილი გავიგე და მივხვდი, რომ სანაპიროსკენ მივდიოდი. მატის გაყოლებაზე, ზღვის ნაპირზე 400-ზე მეტი ბავშვი იყო და ადგილიც არ იყო, ჩემი თვალით ვნახე, როგორ წაეკიდა დედა-შვილს ცეცხლი. ახლაც ცუდად ვხდები, რომ მახსენდება, ბავშვი ვერ გადავარჩინე – ჩემ თვალწინ დაიწვა.

როგორც ჩანს, შემდეგ მეც გავითიშე, ძლიერი კვამლის გამო და ღამის 3 საათზე მიპოვა ვილაცამ. გონს უკვე სასწრაფოში მოვედი. გზები ჩახერგილი იყო და ძლივს იკვლევდნენ გზას. მერე მითხრეს, რომ 2-წუთიანმა წვიმამ გადამარჩინა, თორემ ახლა ცოცხალი არ ვიქნებოდი. ახლა მარათონში ვარ, „ადიო ანდრიას“ სახელობის საბავშვო ბანაკში. შოკიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვარ და არც ვიცი, ოდესმე გამოვალ თუ არა, – განაცხადა საბერძნეთში მცხოვრებმა ემიგრანტმა ნინი მაისურაძემ.

კიდევ ერთი ემიგრანტის, დათო კირთაძის, ინფორმაციით, ადგილზე ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაღუპულთა უმეტესობა ტურისტია, მათ შორის, 20-მდე ბავშვი.

– 250-ზე მეტს მძიმე დამწვრობა აქვს მიღებული, ხალხი ზღვაშია შესული და შიშით უკან ველარ გამოდიან. ტურისტების უმეტესობა ახლომახლო სასტუმროებსა და ჰოსტელებში იყო განთავსებული, არადა, გარშემო ყველაფერი ფერფლად იქცა. ბევრი მათგანი მხოლოდ საცურაო კოსტიუმების ამარა დარჩა, მაგრამ ბედნიერები არიან – მთავარია, გადავრჩითო. აქ ქალაქებს გარშემო ტყეები აკრავს და ის ტყეები იწვის სწორედ, ცეცხლი შემდეგ დასახლებულ პუნქტებზე ვრცელდება. ემიგრანტები ვცდილობთ, ერთმანეთს დავუკავშირდეთ და ერთმანეთის შესახებ გავიგოთ, – აღნიშნა დათო კირთაძემ.

# „ვაგონებში დაკვამლიანება იყო, ჰაერი ჩაიხუთა, სუნთქვა ჭირდა“

## რა მოხდა საბურთალოს ხაზზე




„ჯი-ეიჩ-ენს“ მეტროს ერთ-ერთი მგზავრი დაუკავშირდა, რომელმაც 24 ივლისს, დილით, საბურთალოს ხაზზე მომხდარი ინციდენტის შესახებ უამბო.

– დაახლოებით 12:00 საათზე, ვაჟა-ფშაველადან სადგურის მოედნის მიმართულებით მიმავალი მეტროს ვაგონი გვირაბში გაჩერდა. დაახლოებით, 10 წუთის განმავლობაში არავინ არაფერს გვეუბნებოდა. ვაგონებში საშინელი კვამლი გამოვიდა, ჰაერი ჩაიხუთა, სუნთქვა ჭირდა. საშინელი პანიკა ატყდა, ერთი ქალი ხან სასწრაფოში რეკავდა, ხან სახანძროში, გაგვიყვანეთო, ითხოვდა. ძლივს დავამშვიდეთ.

შემდეგ ტექნიკოსები მოვიდნენ, ვაგონიდან ვაგონში დარბოდნენ, არავის არაფერს ეუბნებოდნენ, ხალხი პანიკაში იყო, რამე მაინც გვითხარითო, ყვიროდნენ.

შემდეგ მემანქანემ მიკროფონში თქვა, რომ ტექნიკური პრობლემა იყო. საერთო ჯამში, მატარებელი 20-25 წუთი იყო გაჩერებული. ბოლოს, როგორც იქნა, რაღაც მოგვარდა და მატარებელიც ძალიან ნელა დაიძრა, ჰაერიც გაიტუმბა, – აცხადებს მგზავრი.

სატრანსპორტო კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში „ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადეს, რომ მეტროში დაკვამლიანება არ ყოფილა. მათი განმარტებით, მატარებლის ვაგონის კომპრესორი გამოვიდა მწყობრიდან, რასაც სპეციფიკური სუნი აქვს და რაც შესაძლოა, მგზავრებმა კვამლად აღიქვეს.

– სადგურის მოედანზე მატარებელს კომპრესორი დაუზიანდა, მისი ჩიხში გადაყვანა და სათადარიგო მატარებლის შემოყვანა მოხდა. დაკვამლიანება არ ყოფილა, შესაძლოა, მგზავრებმა ეს დაკვამლიანებად აღიქვეს, მაგრამ როცა კომპრესორი მწყობრიდან გამოდის, მას სპეციფიკური სუნი მოჰყვება. მგზავრებისთვის საფრთხის შემცველი არაფერი ყოფილა.

როცა სერიოზული დაზიანებაა, მგზავრების დაცვა, ვაგონების გამოთავისუფლება ოპერატიულად ხდება. ამ მომენტში მემანქანე ცდილობდა მატარებლის მწყობრში მოყვანას. როცა ველარ შეძლო, სადისპეტჩეროს დაუკავშირდა, სანამ დამხმარე მოძრავი შემადგენლობა მივიდა, მატარებელი იყო გაჩერებული.

მაქსიმუმ, 7-8 წუთი იყვნენ გაჩერებული, უბრალოდ, როცა მატარებელი გვირაბში ჩერდება, გარკვეული დისკომფორტია მგზავრებისთვის, – აცხადებენ სატრანსპორტო კომპანიაში.

# სერგი კაპანაძე: „მირზა სუბელიანმა ცრუ ინფორმაცია მოგვაწოდა“



სერგი კაპანაძე ამბობს, რომ მირზა სუბელიანმა საგამოძიებო კომისიას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. კაპანაძის განცხადებით, სუბელიანმა თქვა, რომ ის თბილისის ყოფილ პროკურორ მიხეილ შაყულაშვილს არ შეხვედრია.

თბილისის ექსპროკურორმა კი საგამოძიებო კომისიაზე აღნიშნა, რომ მკვლელობის დღეს მას მირზა სუბელიანი დაუკავშირდა და რჩევა სთხოვა, თუ როგორ მოქცეულიყო.

# ოთარ კახიძე: „მიხეილ კალანდია სისხლისსამართლებრივ დევნას უნდა დაექვემდებაროს“



ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შემსწავლელი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის ერთ-ერთი წევრი ოთარ კახიძე ამბობს, რომ მიხეილ კალანდია სისხლისსამართლებრივ დევნას უნდა დაექვემდებაროს.

– მიხეილ კალანდია პარლამენტის საგამოძიებო კომისიის რეკომენდაციის თანახმად და ჩვენი შეფასებით, სისხლისსამართლებრივ დევნას უნდა დაექვემდებაროს, მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების სპექტრის გათვალისწინებით, – აღნიშნა კახიძემ.

მისი თქმით, არსებობს 8 მოწმის მტკიცებულება და საკუთრივ მ.კ.-ს აღიარებითი ჩვენება, რომ იგი არის მკვლელობაში თანამონაწილე.

– მ.კ. არის ის პირი, რომლის უშუალო ჩართულობითაც დაიწყო საერთოდ ეს კონფლიქტი. ეს არის პირი, რომელმაც ჩხუბში თავისი სამეგობრო, რომლებიც შემდგომ სხვადასხვა დანაშაულში არიან მხილებულები და ეს არის პირი, რომელიც ჩხუბის დაწყებიდან ბოლომდე სარალიძესთან იმყოფებოდა ფარდულში და მასთან უშუალო ფიზიკური კონტაქტი ჰქონდა, იჭერდა და ურტყამდა მას. ამავე დროს ხედავდა როგორ ურტყამდნენ დავით სარალიძეს დანებს. ამიტომ ეს პირი ძალიან მნიშვნელოვანი, ცენტრალური ფიგურაა ამ საქმის, თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა, რომ პირი არ არის ვალდებული, მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, – აცხადებს დეპუტატი.

# სასამართლომ მირზა სუბელიანი და მერაბ მორჩაძე კვლავ პატიმრობაში დატოვა

თბილისის საქალაქო სასამართლომ მირზა სუბელიანი და მერაბ მორჩაძე კვლავ პატიმრობაში დატოვა.

პროკურატურა ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ვადის გაგრძელებას ითხოვდა. ბრალდების მტკიცებით, ბრალდებულების გათავისუფლების შემთხვევაში, მათი მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე არსებობს.

რაც შეეხება დაცვის მხარის პოზიციას, მირზა სუბელიანის უფლებადამცველმა სუბელიანის გათავისუფლების სანაცვლოდ სასამართლოს 5.000-ლარიანი გირაოს შუამდგომლობით მიმართა. როგორც ადვოკატმა პროცესზე განაცხადა, მირზა სუბელიანის პატიმრობაში დატოვება არის არასამართლიანი და არაადეკვატური.

– კონკრეტული ფაქტობრივი გარემოება,



რომ მერაბ მორჩაძე იმყოფებოდა მის ახლო ნათესავებთან სახლში, მაქსიმალურად ეცადა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ კონკრეტულ პირებს სასამართლო პროცესზე შეეცვალა ჩვენება, ეს, ბუნებრივია, ფაქტობრივ საფუძველს იძლევა იმისა, რომ კონკრეტული ქმედება არის განხორციელებული, რასაც სასამართლოში შემდგომ, ბუნებრივია, ეცდება ბრალდების მხარე, რომ არსებითი განხილვების პროცესში დაადასტუროს, – განაცხადა პროკურორმა თორნიკე ნადირაძემ.

განცხადება გააკეთა ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა, რომელმაც მერაბ მორჩაძის ქმედებები ახსნა.

– კონკრეტულ შემთხვევაში, სიდუხჭირეში მყოფ ოჯახს, ეხმარებოდა და ეხმარება ბატონი მერაბ მორჩაძე და მისი ოჯახი. დადასტურებული ფაქტია, რომ გარკვეული სახის ნათესაური კავშირი წლების განმავლობაში არსებობს ამ ადამიანებს შორის და უდაოდ დადასტურებული ფაქტია მოწმეთა გამოკითხვებით, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა და ძალიან ბევრი შემთხვევა არსებობს იმის, რომ ბატონ მერაბ მორჩაძეს, მის ოჯახს დახმარება გაუწევია თუნდაც ფინანსური სახის, – განაცხადა ადვოკატმა.

# შსს-მ განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის 20 წლის ბიჭი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი გახსნა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, 1998 წელს დაბადებული ნ.ა. დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს,

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 22 ივლისს ვარკეთილში, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში, ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა 1998 წელს დაბადებულ თ.მ-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ნ.ა. 24 ივლისს ახალციხეში დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# თბილისში ირანის მოქალაქე ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში 74 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღო. ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე ირანის მოქალაქე, 1993 წელს დაბადებული დ.ჯ. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ერთი შეკვრა ნარკოტიკული საშუალება, ხოლო თბილისში, იოსებიძის ქუჩაზე მდებარე მისი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას დიდი ოდენობით, 73 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, სავარაუდოდ, „ჰაშიში“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

2018, 25 ივლისი, №174

# ტრამპი: „პუტინისთვის არაფერი დამითმია!“

აშშ-ში გრძელდება აჟიოტაჟი ტრამპისა და პუტინის შეხვედრის გარშემო. ამერიკის წამყვანი გაზეთები რუსეთ-აშშ-ის პრეზიდენტებს შორის საიდუმლო გარიგებაზე წერენ, ტრამპმა პოზიციები დათმოო. აშშ-ის პრეზიდენტის რეიტინგი კვლავ დაეცა. ტრამპს ეს უკვე აშფოთებს.



ჟურნალისტებთან საუბარში ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ის ინტერესები ბოლომდე დაიცვა.

— პუტინისთვის არაფერი დამითმია, — თქვა ტრამპმა.

აშშ-ის დაზვერვის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათთვის უცნობია, თუ რაზე მოილაპარაკეს დახურულ შეხვედრაზე ტრამპმა და პუტინმა. ტრამპის თანაპარტიელები კი მას რუსეთთან საიდუმლო გარიგებაში ადანაშაულებენ.

ამასობაში აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორმა ნაკანსონმა განაცხადა, რომ რუსების კიბერშეტევები გრძელდება. ალბათობა იმისა, რომ უახლოეს ამერიკულ არჩევნებში რუსები კვლავაც ჩაერევიან, დიდია.

— ჩვენ ამასთან შეგუებას არ ვაპირებთ, — თქვა ნაკანსონმა.

დირექტორის განცხადებით, მის სააგენტოში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა, რომელიც რუსების კიბერშეტევებს შეებრძოლება.

# იტალია უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს



იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრისა და ვიცეპრემიერ სალვინის განცხადებამ მთელი უკრაინა აღაშფოთა.

სალვინიმ უკრაინულ რევოლუციას — ფეიკი და გარე ძალების მიერ დაფინანსებული, ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას კი კანონზომიერი მოვლენა უწოდა.

პასუხად უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იტალიას ოფიციალური პროტესტი განუცხადა.

იტალიის ელჩმა უკრაინაში ჩეჩილიამ მომხდართან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ სალვინიმ პირადი შეხედულება გამოთქვა და ეს იტალიის მთავრობის ან პარლამენტის პოზიციას არ ემთხვევა.

— იტალია უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს! — ამბობს ჩეჩილია.

# პავლო გრიბი: „მე უდანაშაულო ვარ!“



დონის როსტოვში უკრაინის მოქალაქე პავლო გრიბის სასამართლო პროცესი დაიწყო. გრიბს ტერორიზმისთვის ხელის შეწყობას სდებენ ბრალად. გრიბი ბრალდებას უარყოფს.

— მე უდანაშაულო ვარ! — აცხადებს იგი.

გრიბი 2017 წელს ბელორუსში გაუჩინარდა. მოგვიანებით რუსეთის ფსბ-მ თავის უკრაინელ კოლეგებს შეატყობინა, რომ გრიბი კრასნოდარში წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებოდა. რუსი ძალოვნები მას ტერორიზმში ადანაშაულებენ.

— გრიბი თავის მეგობარ ქალს აქეზებდა, რომ სოჭის ერთ-ერთ სკოლასთან აფეთქება მოეწყო, — ამტკიცებენ რუსები.

დღემდე გაუგებარია, თუ როგორ მოხვდა გრიბი ბელორუსიდან კრასნოდარში. სამაგიეროდ, დადასტურებული ფაქტია, რომ წინასწარი გამოძიებისას მას ფიზიკურად შეეხნენ. მიუხედავად ამისა, გრიბი ვერ გატეხეს. ის ჯიუტად იმეორებდა:

— მე უდანაშაულო ვარ!

როსტოვის პროცესის დაწყებისთანავე გრიბმა კვლავ განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ გრძნობს, რადგანაც ტერაქტებს არ აწყობდა და მთელი საქმე შეთითხნილია.

# საბერძნეთში ერთ-ერთ ვილაში 26 ადამიანის დამწვარი ცხედარი იპოვეს



საბერძნეთში, ათენის სიახლოვეს, ტყის ხანძრებს მინიმუმ 50 ადამიანი ემსხვერპლა. ეს ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე დიდი ხანძარია.

წითელი ჯვრის ინფორმაციით, 26 ცხედარი იპოვეს ზღვისპირა სოფელ მატიში მდებარე ერთ-ერთ ვილაში.

ეს სოფელი სტიქიის ეპიცენტრში მდებარეობს. მაშველები ნავებითა და ვერტმფრენებით ახდენენ ხანძრისგან დაზარალებული დასახლებების მოსახლეობის ევაკუაციას. სოფელ მატის სატრანსპორტო გზიდან ცეცხლის კედელი ყოფს. ამის გამო ის ადამიანები, რომლებიც თავის დაღწევას ავტომობილით ცდილობდნენ, საკუთარ ავტომობილში დაიწვნენ, ვინც დარჩა, ისინი ცეცხლმა სახლებში დააზიანა.

ტრავმები მიიღო 104 ზე მეტმა ადამიანმა, მათ შორის 11 მძიმე მდგომარეობაშია. დაშავებულთა შორის 16 ბავშვია.

# რუსეთში 74 წლის ჯაშუში დაიჭირეს




რუსეთის ფსბ-მ მორიგი ჯაშუში დაიჭირა. ის თავდაცვითი დანიშნულების სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტში მუშაობდა.

მას ნატოს ერთ-ერთი სახელმწიფოსთვის საიდუმლო ინფორმაციის მიწოდება ედება ბრალად.

ახლადმხილებული სუპერჯაშუშის გვარია კუდრიავცევი. ის 74 წლისაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ამერიკელმა გოგონამ ზვიგენი შიშველი ხელებით გადაარჩინა



ამერიკის როდ-აილენდის შტატის მცხოვრებმა გოგონამ ტალღების მიერ ქვებზე გამორიყული ზვიგენი გადაარჩინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლზე, რომელიც გოგონას დედის მიერაა გადაღებული, გოგონა ნაპირზე დგას. მოულოდნელად ქვის ლოდებთან ეკლებიანი ზვიგენი გამოირიყა. გოგონამ მშვიდად ჩაავლო მტაცებელ თევზს კუდში ხელი, წყლიდან ამოიყვანა და რამდენიმე მეტრის მოშორებით, უფრო ღრმა ადგილას გაუშვა.

— სახელი და დიდება ჩემს გოგონას, რომელმაც იპოვა ქვებში გაჭედილი ზვიგენი და გადაარჩინა, — დაწერა გოგონას დედამ

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# განცხადებები

## სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს, მედლებს, ორდენებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით(ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# რა ბედი ელით ქართულ კლუბებს ევროტურნირებზე

როგორც გითხარით, ქართულ ფეხბურთზე ბევრი საუბარი მოგვიწევს. ევროტურნირები ის სარკეა, რომელშიც ყველაზე კარგად ჩანს ჩვენი ფეხბურთის სახე და დონე. წელსაც ბევრით ვერაფრით დავიკვეხნით ამ კუთხით – 2 გუნდი პირველივე ეტაპზე დაემშვიდობა ევროპის ლიგას, ქუთაისის ტორპედოს კი უეფას ახალი წესებით გაუმართლა და ჩემპიონთა ლიგაზე წაგების შემდეგ ევროპალიგაზე გადაინაცვლა.

ერთადერთი კლუბი, რომელმაც ქართულ ფეხბურთს ქულები მოუტანა და ნამუსი მოწმინდა, საჩხერის ჩიხურა იყო. ზემო იმერლებმა ძალიან მოულოდნელად 2 მატჩის ჯამში იერუსალიმის ბეითარი დაამარცხეს და პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახეს.

გასულ წელს, საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ, საქართველო უეფას ქვეყნების საკლუბო კოეფიციენტის ცხრილში 6 ადგილით დაქვეითდა და 51-ე ადგილზე იყო. ერთიც ადგილიც და ევროთასებზე გუნდების რაოდენობა შეგვიმცირდებოდა, ანუ მომავალ წელს 4-ის ნაცვლად უკვე 3 გუნდით წარვდგებოდით ევროპაში.

რომ არა საჩხერის ჩიხურა, ფაქტობრივად, ასეც მოხდებოდა. თუმცა, საფრთხე ისევ არის.

მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრულად.

პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართულ გუნდებს სიტუაციის გამოსწორების შანსი ჰქონდათ. როგორც გითხარით, 4 კლუბიდან ევროთასებს 2 შემორჩა. აქედან გამომდინარე, ჩიხურასა და ტორპედოს კიდევ შეუძლიათ კოეფიციენტს რამე შემატონ ან დააკლონ.

სამტრედიამ ორივე თამაში წააგო და ქულების მხრივ ვერაფერი მოგვიტანა, დინამომ კი სტუმრად ფრე ითამაშა. ამასთან, ტორპედომ შეძლო სახლში გამარჯვება, ხოლო ჩიხურამ შინ ფრეს სტუმრად მოგება დაუმატა. ასე რომ, ჯამში 2 მოგება, 2 ფრე და 4 წაგება მივითვალეთ. მოგებაზე ერთი ქულაა, ფრეზე – ნახევარი, შემდეგ ეს ქულები ქვეყნიდან მონაწილე გუნდების რაოდენობაზე იყოფა. 3 ქულა გაიყო 4-ზე და საქართველოს 0.750 ქულა შერჩა. ცხადია, ეს უკეთესი შედეგია, ვიდრე შარშანდელი 0.125, როცა ყველაზე კატასტროფული გამოსვლა გვქონდა ევროთასებზე.

როგორც წესი, ევროტურნირებზე ბოლო 5 წლის მაჩვენებელი ითვლება და დღესდღეობით, 3.875 ქულით 55 ქვეყანაში 48-ე ადგილზე ვიმყოფებით. თუმცა...



საქართველო სულ რაღაც 0.042 ქულით უსწრებს 49-ე ადგილზე მყოფ გიბრალტარს, რომლის ერთი კლუბი ჯერ ისევ თამაშობს ევროთასებზე. ასევე ძალიან მცირედით ვუსწრებთ უელსსა და ჩრდილო ირლანდიასაც (3.750) და ამ ქვეყნებს ევროთასებზე თითო წარმომადგენელი შემორჩათ (ჩვენ 2). ჩვენი მდევარია ლუქსემბურგიც (3.625), რომელსაც, გაგიკვირდებათ და 3 გუნდი დარჩა ევროთასებზე. 53-ე ადგილზე მყოფ კოსოვოს მხოლოდ 2.250 კი აქვს, მაგრამ ეს ქულები სულ წლევანდელ სეზონშია აღებული (ამ ქვეყანას უეფას ტურნირებზე შარშან ჰქონდა დებიუტი) და 1 კოსოვოური კლუბი ისევ რჩება ევროთასებზე.

იმის საფრთხე, რომ 52-ე ადგილამდე დავქვეითდეთ ისევ არსებობს. ამისთვის მდევრებიდან 4-მა უნდა გაგვისწროს. ამის გაკეთების რეალური შანსი 5 ქვეყანას აქვს. ბოლოსწინა და ბოლო ადგილზე მყოფი ანდორა და სან მარინო, დიდი ალბათობით, არ გვემუქრება, მიუხედავად იმისა, რომ თითო წარმომადგენელი მათაც შემორჩათ.

თუმცა, ქულების მოგროვების შანსი ჩვენც გვაქვს. ამაში პირველ რიგში უეფა დაგვეხმარა, რადგან ტორპედოს შანსი მიეცა ევროპალიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გადართულიყო. მეტოქეც შედარებით იოლია – ფარერის კუნძულების ვიკინგური. თუ ტორპედო ამ ბარიერს დასძლევს, არც შემდეგ ეტაპზე ელოდება რთული მეტოქე, სადაც ქულების აღება გაუჭირდეს. სავარაუდოდ, ეს იქნება ალბანური კუკეში.

აი, ჩიხურას საქმე ცოტა რთულად არის: ჯერ სლოვენიურ მარიბორთან უნდა ეცადოს, რამე მაინც შემატოს ქვეყნის რეიტინგს, რაც ცოტა ძნელად დასაჯერებელია. თუმცა, იგივე ვარაუდი იყო ბეითართან შეხვედრის დროსაც. ვნახოთ, ამჯერად მოგვიწყობენ თუ არა ჩიხურა და სამსონ ფრუიძე სიურპრიზს.

ყველა შემთხვევაში, საქმე არც ისე დალხინებულად გვაქვს.

# წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპირველობაზე ისტორიული შედეგი აჩვენა

ბარსელონაში მიმდინარე წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მეორე გამარჯვება მოიპოვა. რევაზ ჩომახიძის გუნდი, მე-13 ადგილისთვის შეხვედრაში, სლოვაკეთს დაუპირისპირდა და საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში, 8:6 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მესამედ მიიღო ევროპირველობაზე მონაწილეობა და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენმა გუნდმა 2 გამარჯვება მოიპოვა, რაც ნამდვილად ისტორიული შედეგია.



სლოვაკებთან მატჩი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. მესამე მეოთხედში სლოვაკებმა, თითქოს, შეძლეს თამაშის გაკონტროლება და 2 ბურთითაც გაცვიდნენ წინ, მაგრამ დასკვნით 12:47 წუთში გოლი აღარ გაუშვია, რაშიც უდიდესი წვლილი ჩვენი გუნდის მეკარე ნიკოლოზ შუბლაძემ შეიტანა.

გადამწყვეტ მომენტში თამაში ზურაბ რურუამ და მიხეილ ბაღათურიამ საკუთარ თავზე აიღეს და გამარჯვებაც მოვიპოვეთ.

3 გოლი რურუას ანგარიშზეა, 2-ჯერ თავი დამირ ცრეპულიამ გამოიჩინა, ხოლო თითოჯერ შეარხიეს მეტოქის კარის ბადე მიხეილ ბაღათურიამ, მარკო ელაჩამ და გიორგი მაგრაქველიძემ.

საბოლოოდ, უკან სამი ნაკრები მოვიტოვეთ – თურქეთი, მალტა და სლოვაკეთი. რომ არა გერმანიის ნაკრებთან დასანანი მარცხი, ჩვენებს უფრო მაღალი ადგილისთვის შეეძლოთ ებრძოლათ.

რევაზ ჩომახიძის გაწვრთნილი ნაკრები ამ ევროპის ჩემპიონატზე ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა:

ნიკოლოზ შუბლაძე, ირაკლი რაზმაძე (მეკარეები); ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია, რევაზ იმნაიშვილი, ანდრია ბითაძე, მარლო ეჩაჩა, ხვიჩა ჯახაია, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, გიორგი მაგრაქველიძე, გიორგი მესხი.

# მოედანს მჭედლიძეც დაუბრუნდა

საქართველოს ნაკრების ირგვლივ სულ უფრო და უფრო სასიხარულო ინფორმაციები მოდის. ჯერ იყო და სავარჯიშო პროცესს ჯანო ანანიძე და თორნიკე ოქრიაშვილი დაუბრუნდნენ, შემდეგ კი 15-თვიანი უქმობა მინდორზე გადაიტანა ლევან მჭედლიძემ.



ჩვენებური რამდენიმე დღის წინ პირველად გამოჩნდა მოედანზე მონტელუპოსთან 5:0 მოგებულ შეხვედრაში, ხოლო პრო ვერჩელისთან მხოლოდ 5 წუთი ითამაშა – მეორე ტაიმში შევიდა და 51-ე წუთზე უკან, სკამზე დაბრუნდა.

მჭედლიძის ტრავმებისადმი მიდრეკილება რომ ვიცით, ამ ფაქტმა ქართველი გულშემატკივარი, ცოტა არ იყოს, შეაშინა, მაგრამ, როგორც ირკვევა, საგანგაშო არაფერია.

მჭედლიძეს დილით უვარჯიშია და საღამოს მატჩისთვის აღდგენა ვერ მოასწრო. თავად ფეხბურთელიც მშვიდად არის და ამბობს, რომ ყველაფერი წესრიგშია.

# ბესიკ ხამაშურიძე: „ეროვნულ ნაკრებს მორაგბეებს მივაწვდით“

დიდი 10-ის კლუბებში მოასპარეზე მორაგბეებისგან შემდგარი საქართველოს ნაკრები წელს პირველად შეიკრიბა და პირველ საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე – რაგბის ზაფხულის თასზე ითამაშებს, რომელიც 28 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება.

ტურნირს „მიხეილ მესხის“ სტადიონი უმასპინძლებს და მასში საქართველო ა ნაკრების გარდა არგენტინა ა ნაკრები, ფრანგული ტოპ 14-ის პარიზული კლუბი რასინგ 92 და ბრაზილიის ეროვნული გუნდები ითამაშებენ.

„ზაფხულის თასი“ 2 ტურად იმართება და, ფორმატის თანახმად, ევროპელები სამხრეთელებს შეხვდებიან.



ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელია ბესიკ ხამაშურიძე, რომელიც ფიქრობს, რომ ახალგაზრდა მორაგბეებით დაკომპლექტებულ ნაკრებს საინტერესო თამაშები ელის.

41 წლის ხამაშურიძეს მდიდარი სანაკრებო კარიერა ჰქონდა. ბორჯღალოსნების კვართით მან 61 მატჩი ჩაატარა და 15 ლელო გაიტანა, რის შემდეგაც მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდა და ჯერ ამ გუნდის მოთამაშე მწვრთნელი იყო, ხოლო მოგვიანებით მის დირექტორად დაინიშნა და პარალელურად, 7-კაცა და ახალგაზრდულ ნაკრებებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა.

**ბესიკ ხამაშურიძე:**

– ევროპელები სამხრეთელებს ვეთამაშებით. არგენტინას ძლიერი ეროვნული გუნდი ჰყავს, ხოლო უახლოესი რეზერვი სულაც არ არის ხელწამოსაკრავი მეტოქე. ისევე როგორც მზარდი და მუდმივად პროგრესირებადი ბრაზილიის ნაკრები. ვფიქრობ, საინტერესო თამაშები გველის. იმედია, მალე მოვა იმის დროც, როდესაც რასინგს და მის დარ ძლიერ გუნდებს შევხვდებით.

საქართველოს სანაკრებო ვერტიკალში ადრეც ვყოფილვარ და მიმუშავია, თუმცა ახლა პასუხისმგებლობა უწინდელზე მეტია, რადგან ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. დაახლოებით ისეთი განცდა მაქვს, როგორიც საქართველოს ნაკრებში თამაშისას მქონდა. გაფართოებულ შემადგენლობაში რამდენიმე ისეთი მოთამაშეა, რომლებიც ჰეიგთან კონსულტაციით შევარჩიეთ. მას აინტერესებს, როგორ წარმოაჩენენ ისინი საკუთარ შესაძლებლობებს დიდი გუნდების წინააღმდეგ თამაშისას.

დიდი 10-ის კლუბებში მოთამაშე მორაგბეების შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ და შემადგენლობის შერჩევისას ბევრი არ მიყოყმანია. დაგვაკლდა რამდენიმე ტრავმირებული მორაგბე, რომლებმაც სეზონის დასრულების შემდეგ ოპერაცია გაიკეთეს, თუმცა მცირედი განსხვავებით, ფაქტობრივად იგივე დონის მოთამაშეები ავიყვანეთ. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ დავუძახეთ იმ ბიჭებს, რომლებიც უკვე თამაშობენ საქართველოს ეროვნულ (პირველ) და 7-კაცა ნაკრებებში.

ეროვნულიდან შევარჩიეთ მხოლოდ ის მორაგბეები, რომელთაც ნაკრებში ბევრი სათამაშო დრო არ ჰქონდათ, ხოლო 7-კაცადან ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები, რომლებიც ამ გუნდში ახალი სახეები არიან. თავის გამოჩენის შანსი უნდა მისცემოდა მათ, ვინც არცერთი ნაკრების კანდიდატი არაა. ეს ბიჭები შეიძენენ უდიდეს გამოცდილებას, რითაც დიდი 10-ის დონეც ამაღლდება. გარდა ამისა, მსოფლიო თასი ახლოვდება და დარწმუნებული ვარ, ამ ნაკრებიდანაც გამოჩნდებიან ისეთი მორაგბეები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში პირველ ნაკრებში დაწინაურდებიან და კონკურენციას გაზრდიან.

ხამაშურიძემ გაფართოებული, 34-კაციანი შემადგენლობა შეარჩია. გუნდში ისეთი მორაგბეებიც არიან, რომელთაც ბორჯღალოსნების თავკაცი მილთონ ჰეიგი 2019 წლის მსოფლიო თასის წინ გაფართოებულ შემადგენლობაში მოიაზრებს.

გუნდი შევარდენის სანაკრებო ბაზაზე შეკრებაზე უკვე შევიდა და 4 დღეა, „ზაფხულის თასისთვის“ ემზადება. მიუხედავად ზაფხულისა, ხამაშურიძე ბიჭების მდგომარეობით კმაყოფილია და ამბობს, რომ ორივე თამაში ბრძოლა ბოლო წუთებამდე გაგრძელდება:

– გუნდების ნაწილს მოსამზადებელი ეტაპი უკვე დაწყებული ჰქონდა. გარდა ამისა, ბიჭები პროფესიონალები არიან და მათი ფიზიკური კონდიციები ამ ეტაპისთვის დამაკმაყოფილებელია. არის პატარ-პატარა განსხვავებები და ახლა მათ დაბალანსებას ვცდილობთ. საზაფხულო დასვენების გამო ბურთთან გაუცხოებაც შეინიშნება და ახლა მის გაუმჯობესებაზე ვმუშაობთ. რაც მთავარია, შეკრების პირველივე დღიდან გამოჩნდა, რომ ბიჭებმა კარგად იციან სად იმყოფებიან და რა მიზანს ემსახურებიან. მათ გააზრებული აქვთ პასუხისმგებლობა და მოტივაცია არ აკლიათ. მთლიანობაში, ამ ნაკრების არსებობა განვითარებას და გამოცდილების მიღებას ემსახურება, თუმცა ჩვენ მორაგბეები ვართ და ყველა თამაშში მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ.

## შედეგები

**23 ივლისი**

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ჩეხეთი. 1 ლიგა** | |
| ბანიკი-იაბლონეცი | 1:0 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| სოსნოვეცი-პიასტი | 1:2 |
| **უკრაინა. პრემიერლიგა** | |
| ჩერნომორეცი-ოლიმპიკი | 2:1 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ჰობრო-კოპენჰაგენი | 0:3 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| ნორჩიოპინგი-ელფსბორგი | 1:0 |
| ჰამარბი-დალკურდი | 4:1 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მამუკა კუდავა: „ნატოში საქართველოს წევრობა გადაწყვეტილია. მთავარი ისაა, როდის და რა პირობებით“

დასაწყისი მე-5 გვერდზე




**რუსლან ბორტნიკი:** ვფიქრობ, ეს პროცესი ძალიან დიდხანს გაგრძელდება, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ადამიანური სიცოცხლის ხანგრძლიობას. იმიტომ, რომ, ერთის მხრივ, ნატოს არ შეუძლია პირდაპირ უარი უთხრას რომელიმე ქვეყანას, მით უფრო ისეთ ქვეყანას, რომელმაც ფორმალურად, როგორც საქართველომ, ყველა მრავალრიცხოვანი მოთხოვნა შეასრულა იმისთვის, რომ პრეტენზია განეცხადებინა ნატოს წევრობაზე; მეორეს მხრივ, ეს ორგანიზაცია არ იწყებს რეალურ პროცედურებს გაწევრიანებისთვის, არც პარტნიორობის გასაფართოებლად, კერძოდ, უკრაინასთან მიმართებაში.

**ეკატერინე კოტრიკაძე: კეთილი. მაგრამ უკრაინას არც რეფორმები დაუსრულებია. ხომ ასეა?**

**რუსლან ბორტნიკი:** მე ვფიქრობ, რომ, თუ საქართველოსაც კი, რომელმაც ისეთ დონეს მიაღწია, რომ უარის თქმა არ შეიძლებოდა, რადგან ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, უარს ეუბნებიან, გამოდის, ნატო უარს ამბობს თავის პრინციპებზე, თავის მიერვე გამოცხადებულ ღია კარის პოლიტიკაზე. მაშინ, ცხადია, უკრაინას უფრო მეტი ბარიერი შეექმნება. უკრაინა არაა რეფორმირებული სახელმწიფო, იგი ნატოს კრიტერიუმებს არ შეესაბამება არც ეკონომიკურად, არც სოციალურად, არც სამხედრო თვალსაზრისით, არც პოლიტიკურად. მეტიც, ჩვენ გვაქვს სერიოზული პრობლემები მეზობელ ქვეყნებთან, რომლებიც უკვე ნატოს წევრები არიან.

ეს არაა მხოლოდ უნგრეთი, პოლონეთთანაც გვაქვს პრობლემები ისტორიული წარსულის, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შედეგების გააზრებასთან დაკავშირებით; რუმინეთთან და ბულგარეთთან იგივე ენობრივი პრობლემები გვაქვს. ვიცით, რომ არსებობს აგრეთვე ანტიუკრაინული კონსენსუსი ნატოს შიგნით. ამიტომ ჯერჯერობით შანსს არ გვაძლევენ, მინიშნებასაც კი ერიდებიან, რომელიც დღეს საქართველოს მიმართ გამოხატეს ნატოში შესაძლო გაწევრიანებაზე.

**ეკატერინე კოტრიკაძე: მაგრამ შეიძლება თუ არა, შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომ უკრაინამ დააბრკოლოს საქართველო ამ პროცესში?**

**რუსლან ბორტნიკი:** მე ვფიქრობ, დღეს საქართველო დაინტერესებულია, თავისი გზა იპოვოს ნატოსკენ, რამდენადაც უკრაინასთან დაწყვილება არ დააჩქარებს ამ გზის გავლას.

**ეკატერინე კოტრიკაძე: ტერიტორიული კონფლიქტები, ტერიტორიული მთლიანობის რთული პრობლემები საქართველოსაც აქვს და უკრაინასაც. არის თუ არა ეს ნატოში მიუწვევლობის მთავარი მიზეზი თუ რამე სხვაც არის?**

**რუსლან ბორტნიკი:** ვფიქრობ, ეს არაა მთავარი მიზეზი. ნატოს წესდებაში არაა ასეთი მიზეზი. მთავარი მიზეზია რუსეთის დღევანდელი პოზიცია. ნატოს ქვეყნები თავს არიდებენ ამის გამო რუსეთთან კონფლიქტს. ესაა მთავარი მიზეზი.

**ეკატერინე კოტრიკაძე: გენერალური მდივნის განცხადებამ, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, მძაფრი რეაქცია გამოიწვია მოსკოვში. თქვენთან უკანასკნელი კითხვა მაქვს. ტრამპი ხვდება პუტინს. ტრამპი ამბობს, რომ პუტინი მისი კონკურენტია, მეტოქეა. პუტინის მიმართ იგი პატივისცემას გამოხატავს. იმ დეკლარაციის გათვალისწინებით, რომელიც ნატოს წევრმა 29 ქვეყანამ მიიღო და რაზეც ტრამპმაც მოაწერა ხელი, ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებების გათვალისწინებით, რომლებიც გააკეთეს, მაგალითად, ყირიმის შესახებ, რას ელოდებით ამ შეხვედრისაგან?**

**რუსლან ბორტნიკი:** მე არ მოველი რამე გარღვევას დონბასის კრიზისთან და ყირიმის საკითხთან დაკავშირებით. მინსკის ხელშეკრულების შესრულების ზოგიერთ საკითხში მეტი პრეროგატივა ევროპელ პარტნიორებს ეკუთვნით – გერმანიას და საფრანგეთს. ამ საკითხებში არსებობს ინტერესთა კონკურენცია აშშ-ის მხრიდან.

რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არ შეესაბამება ამერიკულ ისტებლიშმენტის ინტერესებს, იქნება ბლოკირებული. არის ერთი საშიშროება, რომლის შესახებ დღეს ლაპარაკობენ უკრაინაში, ესაა ის, რომ პუტინი და ტრამპი არ მოილაპარაკებენ კონფლიქტის არსზე, და შეიძლება მოილაპარაკონ 2019 წლის უკრაინის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. უკრაინაში ეშინიათ, რომ ისინი მოილაპარაკებენ კონსენსუსურ საპრეზიდენტო კანდიდატზე, რომლის მხრებზე რეალიზდება ესა თუ ის მოლაპარაკება კრემლსა და თეთრ სახლს შორის. აი, ამაზე ლაპარაკობენ კიევში.

**ეკატერინე კოტრიკაძე: დიდი მადლობა. ახლა მოვისმინოთ რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრის, ფრანც კლინცევიჩის, კომენტარი.**

**ფრანც კლინცევიჩი:** დღეს ლაპარაკობენ რაღაც საფრთხეზე რუსეთის მხრიდან. რა საფრთხე! თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ საერთოდ არაფერზე, თუ რა მოხდა სინამდვილეში პროფესიონალური თვალსაზრისით. 2008 წლის მოვლენებმაც გვიჩვენეს, რომ რუსეთს არ სჭირდება საქართველოს დაპყრობა. იქ შეიძლებოდა ყველაფერი მომხდარიყო ოთხ დღეში, როდესაც უნიკალური ოპერაცია ჩატარდა – იძულება მშვიდობისთვის.

კიდევ ერთხელ მინდა გავახსენო მსოფლიოს იმის შესახებ, რომ საქართველომ განახორციელა გენოციდი ხალხის მიმართ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დამოუკიდებლად, ყველასადმი მეგობრულად ცხოვრობდა, და მათ განახორციელეს უპრეცედენტო თავდასხმა ცხინვალის ცენტრზე, და მხოლოდ სამი დღის შემდეგ რუსეთი იძულებული გახდა, რეაგირება მოეხდინა, როდესაც 96 მშვიდობისმყოფელი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა ამ ქაოსში.

ჩვენ უნდა გავიაზროთ საფრთხე, ვინაიდან ნატო ინსტრუმენტია ამერიკის ხელში. ისინი კონცეფციებს ამუშავებენ და თავად ლაპარაკობენ ამ კონცეფციების შესახებ, მაგალითად 30-30-30-ზე. როდესაც მიდის საუბარი რამდენიმე არმიის ფორმირების შესახებ რუსეთის საზღვრებთან, რა, მათი დანიშნულება კარტოფილის აღება იქნება? თანაც თანამედროვე იარაღით! რა რეაგირება უნდა მოახდინოს რუსეთმა? მომიტევეთ, მაგრამ მე კარგად მესმის, რომ ამ სიტუაციაში, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია რუსეთზე. საქართველო არსებობს და ვითარდება რუსეთთან კარგი, ნაყოფიერი თანამშრომლობის წყალობით. მაგრამ როდესაც ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველო აქციეს რუსეთისთვის საფრთხის შემცველ მორიგ პლაცდარმად, ჩვენ რეაგირებას მოვახდენთ. დღეს ლაპარაკობენ რაღაც მუქარაზე რუსეთის მხრიდან. რა მუქარაზეა ლაპარაკი!

**ეკატერინე კოტრიკაძე: ეს იყო ფრანც კლინცევიჩი, რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრი. ჩვენ კი ვაგრძელებთ საუბარს ბ-ნ მამუკა კუდავასთან. ბატონო მამუკა, თქვენ მოისმინეთ რუსი ოფიციალური პირის პოზიცია. მან ახსენა სიტყვები „გენოციდი“, „ცხინვალი“; თქვა, რომ რუსეთი არ შეეგუება, თუ მეზობელ საქართველოში განლაგდება ნატოს სამხედრო ბაზა. რას იტყვით ამაზე?**

**მამუკა კუდავა:** ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმ პრობლემის არსებობისა, რომელზეც დღეს ნატოში მსჯელობდნენ. ეს არის პრობლემა ღირებულებებისა, პრინციპებისა, რომელთა საფუძველზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა გაერო, ხოლო დასავლეთის ქვეყნებმა გადაწყვიტეს ნატოს შექმნა, რომელიც წინ უნდა აღდგომოდა საბჭოთა აგრესიას ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

როგორც დრომ აჩვენა, ეს არის ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია მსოფლიოს ისტორიაში. რატომ? იმიტომ, რომ სწორედ ის იცავს პრინციპებს, რომელთა შორის ერთ-ერთია სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. ამის გარეშე, ამ საანბანო ჭეშმარიტების გარეშე, ძალიან ძნელი იქნება მოლაპარაკებანი მსოფლიოს სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის შესახებ.

ყველაზე მთავარი ისაა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გარანტირებულია, რომ ამ პრინციპებს ნატო ყოველთვის დაიცავს. ხოლო როდესაც 10 წლის წინ იყო ომი, რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, შემდეგ ყირიმის ანექსია, მაშინ დასავლეთმაც დაიწყო სერიოზული გააზრება იმ საფრთხეებისა, რაზეც რუსი დეპუტატი ლაპარაკობდა. დღეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ნატომ, და გაიზიარა საერთაშორისო თანამეგობრობის დიდმა უმრავლესობამ, – ხუთი ქვეყნის გარდა, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებენ, – რომ რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარები ამ ტერიტორიებიდან და რომ საქართველოს ეს რეგიონები ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

**ეკატერინე კოტრიკაძე: ჰელსინკიში ტრამპი უნდა შეხვდეს პუტინს. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა შანსი იმისა, რომ იგი წამოსწევს საკითხს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის შესახებ? რამდენად რეალისტურია ეს?**

**მამუკა კუდავა:** იმედი მაქვს, დიდი იმედი მაქვს. როგორც ითქვა, ამ შეხვედრისას ლაპარაკი იქნება უკრაინაზე, ყირიმის ანექსიაზე, სირიაზე, ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია ამავე კონტექსტშია. ეს ძალიან სერიოზული საკითხებია.

**ეკატერინე კოტრიკაძე: დიდი მადლობა.**

---

## ასტროპროგნოზი
### 25 ივლისისთვის



**ვერძი** – თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი საგრძნობლად იზრდება. ასევე ძლიერდება სექსუალურობა და წინასწარმეტყველების უნარი. ნებისმიერი რთული სიტუაციიდან გამოსავალს იოლად იპოვით. **კურო** – დღეს, შესაძლოა, ძველი კონტაქტები აღადგინოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. ემოციების გამოვლენისგან თავი შეიკავეთ. **ტყუპები** – ეს დღე ნეგატიური ტენდენციებით ხასიათდება. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. მიზნის მიღწევაში თავქარიანობა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება შეგიშლით ხელს. **კირჩხიბი** – დღეს ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. **ლომი** – მეგობრებთან შეხვედრა დიდ სიხარულს მოგანიჭებთ. კარგი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, ფიზიკური აქტივობისათვის. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. რისკი გამართლებული არ არის. თავი შეიკავეთ საქმიანი შეხვედრებისაგან. **ღრიანკალი** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე შემოქმედებითად და, ამავე დროს, მოთმინებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, უმჯობესია, ძველი დაამთავროთ. დღეს დოკუმენტებთან ურთიერთობა სასურველი არ არის. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება თამამად დაიწყეთ, ოღონდ ყველაფერს ერთად ნუ გააკეთებთ. თქვენი შესაძლებლობები გაითვალისწინეთ და ისე იმოქმედეთ. **მერწყული** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, იკვებეთ სწორად. ფიზიკური დატვირთვა ძალიან წაგადგებათ. **თევზები** – იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ შემთხვევით ნაცნობობას. დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

---

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 2. ჭადრაკის პარტიის დაბოლოება; 3. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 4. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 5. კაცთმოძულე ადამიანი; 10. დამჟავებული ბოსტნეული; 11. კეთილმოწყობილი საყოფაცხოვრებო პირობების ერთობლიობა; 12. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 13. ყველაზე დიდი ქალაქი სიცილიაში; 16. ქალისადმი მიძღვნილი პატარა ლირიკული ლექსი ძველად; 17. სამხედრო ნაწილის მღვდელი; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 21. იაპონური ავტომობილი; 23. ბალჩეული ხილი.

**თარაზულად:** 6. ნაღვლიანი განწყობილება; 7. ცხარე გემოს ფრანგული ყველი; 8. ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი; 9. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 14. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 15. პოლონელი ექიმი, ხელოვნური საერთაშორისო ენის – ესპერანტოს შემქმნელი; 18. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 20. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო სამართლის წესებისა და კანონების კრებული; 22. უნგრული არმიის ძველი სახელწოდება; 24. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 25. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების საერთო სახელწოდება; 26. ურუგვაის ნაკრებისა და პსჟ-ს ფეხბურთელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სუმო; 2. ჩხუტი; 3. ივერი; 4. წრუტო; 5. აგუერო; 6. „ბაბუშერა“; 8. ენტომოლოგი; 10. გუგენჰაიმი; 11. ბობოყვათი; 14. როზეტი; 15. გუთანი; 16. მაგმა.

**თარაზულად:** 1. სანჩესი; 4. წყალტუბო; 7. მელუა; 9. დინგო; 12. „ბოჟოლე“; 13. სტუკო; 14. რუტერი; 17. ალიევი; 18. კრიპტოგრამა; 19. ზინდანი; 20. ქაშაყი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბარძიმი; 2. მიკიტანი; 3. სკაფანდრი; 4. ლომბერი; 5. მიკროსკოპი; 10. აწყური; 11. სუბიექტი; 12. „ფაიზერი“; 13. ბოლივია; 16. „ქიმერიონი“; 17. სემინარი; 19. იმბეცილი; 21. „ბორდო“; 23. ბჟუჟი.

**თარაზულად:** 6. კაზუისტიკა; 7. ბოლნისი; 8. ჯიბუტი; 9. ტალავერი; 14. ფოცხვერი; 15. ადიულტერი; 18. მეტრი; 20. ლეჩხუმი; 22. ბაბუინი; 24. თორაძე; 25. ბოლივუდი; 26. ბეჟარი.

# გიორგი კალანდია ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას აკრიტიკებს

ხელოვნების სასახლის დირექტორი, პროფესორი გიორგი კალანდია, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას აკრიტიკებს და ღია წერილით მიმართავს:

– დიდხანს ვფიქრობდი, დამეწერა თუ არა ეს წერილი. ბოლოს გუშინ მომხდარმა ფაქტმა გადამაწყვეტინა: კერძოდ, 19 საათის წინ ჩემს ფეისბუქგვერდზე დავდე წალენჯიხის მონასტრის ერთ-ერთი ფრესკის ფოტო, რომელსაც ამ წუთისათვის უკვე 700-ზე მეტი გაზიარება აქვს! ასეთ ინტერესსა და მოწონებას ერთადერთი მიზეზი აქვს, ჩვენი ქვეყნის ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი კვლავ აუთვისებელია ტურისტული თვალსაზრისით, მათი მნიშვნელობა, უნიკალურობა თუ გამორჩეულობა უცხოელმა კი არა, ქვეყნის შიგნით მცხოვრებმა ბევრმა მოქალაქემ დღემდე არ იცის! საილუსტრაციოდ ჩემ მიერ ზემოთ ნახსენები წალენჯიხის ტაძარი და მისი მსოფლიო მნიშვნელობის ფრესკებია....

ამ ამბავს ის წყენაც მალაპარაკებს, რომელიც ჩემი მუზეუმის, ანუ ხელოვნების სასახლის მიმართ თქვენი ადმინისტრაციის მხრიდან ფიქსირდება. სულ რამდენიმე დღის წინ დაიწყო ახალი კამპანია სახელწოდებით „ემოციები არის საქართველო“, რომელიც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით მომზადდა. ამ კამპანიის ფარგლებში შეიქმნა 3 წიგნი, ღვინო და გასტრონომია, ბუნება და თავგადასავლები, ისტორია და კულტურა...

ვერ ვიტყვი, რომ ცუდი წიგნია, ორიგინალურადაა უცხოელისთვის საქართველოს ხიბლი წარმოდგენილი, მაგრამ ამ წიგნში საქართველო ძირითადად ღვინო და ხაჭაპურია, ამ დიდი ემოციების სამყაროში იმ დარგს, რომელშიც მე ვმუშაობ, ანუ მუზეუმებს ყველაზე ნაკლები ადგილი ეთმობა, ამ ნაკლებში კი საქართველოს ხელოვნების სასახლე საერთოდ არაა ნახსენები.. პირდაპირ და თამამად გეტყვით, რომ ეს დიდი უსამართლობაა. რატომ?! იმიტომ, რომ ხელოვნების სასახლე ერთადერთი ქართული მუზეუმია, რომელიც „გუგლის“ კულტურული ინსტიტუტის წევრია. მის გამოფენებსა და ექსპოზიციას რამდენიმემილიონიანი აუდიტორია ჰყავს მთელ მსოფლიოში. ხელოვნების სასახლემ პირველმა ქართულ მუზეუმთაგან უკვე მეორედ აიღო ევროპის კულტურული მემკვიდრეობის უმაღლესი ჯილდო, „ევროპა ნოსტრა“. ხელოვნების სასახლე თბილისში მოქმედი ერთადერთი სასახლე მუზეუმია...

ვერც იმას იტყვით, რომ ჩვენ ინერტული, თვითდინებას მიშვებული სიძველეთსაცავი ვართ, ადგილობრივი თუ რეგიონული მნიშვნელობის უამრავი გამოფენა ეწყობა, ჩვენთან არაერთი მაღალი რანგის სტუმარი ჩამოვიდა, სულ ბოლოს – ესპანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, არც ექსპონატების სიმცირეს ვუჩივით, მარტო პეტრე ოცხელის შედევრები რად ღირს. ისე, ოცხელის მფრინავი მღებავიც კი იმსახურებდა იმ ბუკლეტში მოხვედრას, აღარაფერს ვამბობ ეროვნული კოსტიუმების კოლექციაზე!

ჩვენთან ბატონი გიორგი ჩოგოვაძეცაა ნამყოფი, აღფრთოვანდა, მოიწონა, თუმცა შედეგი არაფერია! ჩვენი მუზეუმი დღემდე ვერ მოხვდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მომზადებულ ვერც ერთ პროდუქტში, არც გზამკვლევში, არც მარშრუტში, არც კლიპში... ვერ ვიტყვი, რომ ცუდი ხალხი ხართ, ვერც ცუდად მუშაობას დაგაბრალებთ, ამიტომ ჩემი წერილი ლანძღვა არაა, კრიტიკაა, ასე მგონია



– სამართლიანი კრიტიკა, რადგან ზოგადად მუზეუმები და მათ შორის ხელოვნების სასახლე თქვენგან მეტ ყურადღებას იმსახურებს, მეტ რეკლამირებას, გაპიარებას, მინიმუმ იმ დონეზე მაინც, როგორც ამას ხაჭაპურთან და ხინკალთან მიმართებით აკეთებთ!

თქვენს ორგანიზაციაში ბევრი კარგი ადამიანი მუშაობს, მინიმუმ ორი მათგანი ისეთი სუპერპროფესიონალია, რომ ბევრი ევროპული ორგანიზაცია მათ თავს ინატრებდა, მათი ანგარიშგაწევით ხმას დღემდე არ ვიღებდი, აწი აღარ ვაპირებ! არ ვაპირებ იმიტომ, რომ ხელოვნების სასახლე, წალენჯიხის ტაძარი, სამცაცხვი, „მფრინავი მღებავი“ და ასე შემდეგ უფრო ხშირად უნდა გამოჩნდეს უცხოელის თვალსაწიერში... ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდება, უბრალოდ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ ზემოთქმული მგონია!

# მამუკა ლომაშვილი მთავრობის წინააღმდეგ

პაროდისტი მამუკა ლომაშვილი ხელისუფლებას აკრიტიკებს და მათ გაპარტახებული ქვეყნისა და მშიერი ხალხის ხელისუფლებას უწოდებს:

– დიახ, ბატონებო, თქვენ გაუბედურებული, უმუშევარი, გაბოროტებული, დაუცველი, უსამართლოდ მყოფების, თავის გადასარჩენად



და საკუთარი ოჯახისაც საზღვარგარეთ წასულების ხელისუფლება ხართ, თანამდებობის პირები ხართ და რითი ამაყობთ? თქვენი სტატუსით? თქვენი სოციალური მდგომარეობით? არა, ბატონებო, თქვენ გაუბედურებული და გაპარტახებული ქვეყნისა და მშიერი, იმედგაცრუებული ხალხის პრეზიდენტი, მინისტრები, პრემიერ-მინისტრი და დეპუტატები ბრძანდებით! აი, ეს არის თქვენი სტატუსი... გიხაროდენ და იამაყეთ!

# დათო ევგენიძე საქართველოში საკონცერტო ტურნეს მართავს



მუსიკოსი და პოეტი დათო ევგენიძე საქართველოს მასშტაბით კონცერტებს მართავს. მსმენელთან შესახვედრად ხელოვანი დიდხანს ემზადებოდა და სპეციალური საკონცერტო პროგრამაც მოამზადა.

რეგიონებში კონცერტების სერია ბორჯომის პარკიდან დაიწყო. ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივები, ასევე ბორჯომში მყოფი ტურისტები. ბორჯომის შემდეგ ხელოვანმა კონცერტი ახალციხეში გამართა.

კონცერტების სერია 4 აგვისტოდან ზუგდიდში გაგრძელდება, 11 აგვისტოს ამბროლაურში გადაინაცვლებს, 18 აგვისტოს – ქობულეთში და 15 სექტემბერს თელავში დასრულდება.

დათო ევგენიძის კონცერტები სახელმწიფოს მხარდაჭერით პროექტ ჩეკ ინ ჯორჯიას ფარგლებში ტარდება. ეს პროექტი უკვე მესამედ ხორციელდება. პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი მუსიკალური და სხვა სახის შემეცნებით-გასართობი აქტივობები მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება.

ჩეკ ინ ჯორჯია წელს აუდიტორიას საინტერესო და მრავალფეროვან პროგრამას სთავაზობს, საქართველოს რამდენიმე რეგიონში კონცერტებს მართავენ ანსამბლები „სუხიშვილები“, „ერისიონი“ და „რუსთავი“, ასევე თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა საბალეტო ფესტივალი თბილისში, ელექტრონული მუსიკის ფესტივალი საგურამოში, მუსიკის ფესტივალი ოფენ ეარი“, „არტარეას“ ეზოს ფესტივალი.

# ქართული ფოლკლორით უცხოელები დაინტერესდნენ

ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა ქართული ფოლკლორის გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა:



– ძალიან მაგარი ამბავი! ვინც იცით, რა არის ბოილერ რუმი, მინდა გითხრათ, რომ პირველად გაჟღერდა ქართული ხალხური სიმღერა „ლაშარის“ შესრულებით ამ ყველაზე პოპულარულ მუსიკალურ პლატფორმაზე მსოფლიოში.

ეს არის ჩვენი ქვეყნისა და ქართული ხალხური სიმღერის ძალიან დიდი პოპულარიზაცია. გთხოვთ, რომ მოუსმინოთ და აუცილებლად ყურსასმენებით, ხარისხი რომ კარგად შეიგრძნოთ. მადლობა ყველას. ძალიან გახარებული ვარ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ ივრითზე თარგმანზე წიგნის ეროვნულმა ცენტრმა უარი განაცხადა

ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაურის“ ივრითზე თარგმანზე წიგნის ეროვნულმა ცენტრმა უარი განაცხადა. ინფორმაცია მწერალმა მანანა დუმბაძემ გაავრცელა:

– აღშფოთებული ვარ ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ ივრითზე თარგმნის უარის გამო. თურმე წიგნის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს ვაჟას ივრითზე თარგმნა არაპრიორიტეტულად მიუჩნევია, თან დასძინენ, სახსრებიც დაგველიაო.

შეგახსენებთ, რომ დღეისთვის ივრითზე მთელი ქართული კლასიკიდან არსებობს მხოლოდ გაპონოვისეული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი და შემოდგომაზე გამოვა ცენტრის მიერ დაფინანსებული პოეტური კრებული რამდენიმე თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსებით.

სულ ეს არის და ეს. ჰო, ერთ ისრაელურ ლიტერატურულ ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი მოთხრობის თარგმანიც, წიგნის ცენტრის ჩაურევლად, რა თქმა უნდა. ვაჟა- ფშაველას კი ბედი არც სიცოცხლეში სწყალობდა და ახლაც არ გაუმართლა.




# თბილისის ისტორიულ უბანში მშენებლობა მიმდინარეობს



თბილისის ისტორიულ უბანში, ნარიყალას ძირში, ახალი მშენებლობა მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი თბილისელების უმრავლესობისთვის ხელშეუხებლად ითვლება, შესაბამის მშენებლობასთან პირდაპირ კავშირში მყოფი სამსახურები ასე არ ფიქრობენ და ახალ მშენებლობებზე ნებართვებს მაინც გასცემენ.

სერგო ედიშერაშვილმა ძველ თბილისში გადაღებული ფოტო გაავრცელა, სადაც ჩანს, რომ ისტორიულ ნაწილში გამალებული მშენებლობა მიმდინარეობს:

– ჩემი კოლეგის ვანო შლამოვის სურათებს ვათვალიერებდი. სულ ახალი გადაღებულია. ძალიან მაინტერესებს, ამ ისტორიულ ადგილზე, სადაც ყოველი სანტიმეტრი ჩვენი ქალაქის ისტორიაა, ვინ გასცა მშენებლობაზე ნებართვა? უკვე არავისი და არაფრის არ მჯერა.

# ეგვიპტის ზოოპარკში ვირები გადალებეს და ზებრებად გაასაღეს

ეგვიპტის დედაქალაქ კაიროს ერთ-ერთი ზოოპარკის მფლობელები დამთვალიერებლებს ატყუებდნენ. ისინი გადაღებილ ვირებს ზებრებად ასაღებდნენ.

სიყალბე ეგვიპტელმა მეათეკლასელმა მუჰამედ სარხანმა გამოავლინა, რომელიც ზოოპარკში ექსკურსიაზე იმყოფებოდა. მან შენიშნა, რომ ცხოველს სახის არეში და სხეულის რამდენიმე ნაწილზე შავი საღებავი ჩამოღვენთა. მოსწავლე გულდასმით დააკვირდა და აღმოაჩინა, რომ ზოოპარკის უსინდისო მფლობელებმა შინაური ცხოველები, ვირები, ზებრებივით შეღებეს და მათ ეგზოტიკურ ცხოველებად ასაღებდნენ.

აღმოჩნდა, რომ მეტად ცხელი ამინდის გამო საღებავი ჩამოიღვენთა და ზებრისთვის დამახასიათებელი შეფერილობა თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. მოზარდმა საღებავგადაცლილ ცხოველებს სურათები გადაუღო და ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

შემდგომში გაირკვა, რომ ზოოპარკის მფლობელებს ზებრების დამატება სურდათ, მაგრამ, ვინაიდან მათი ყიდვა ძვირი სიამოვნება იყო, ვირები გადაღებეს და იმედი ჰქონდათ, რომ დამთვალიერებლები ვერაფერს მიხვდებოდნენ.

ვეტერინარებმა დაადასტურეს, რომ ზოოპარკში წარმოდგენილი ცხოველები ვირები არიან და არა ზებრები, თუმცა მათი მფლობელები მაინც ამტკიცებენ, რომ ვოლიერში ნამდვილი ზებრები ჰყავთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**25 ივლისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4454
- ევრო — 2.8638
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2128
- 100 რუსული რუბლი — 3.8789

## ამინდის პროგნოზი 25 ივლისისთვის




## იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი




**ავთანდილ ბუხრაშვილი**

**ვინ მოკლა ინსპექტორი**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი




**მაკა სეფაშვილი**

**დანაშაული აღარ მოხდება**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## ოთარ კიტეიშვილი კარიერას გრაცის შტურმში გააგრძელებს



თბილისის დინამოს კაპიტანი ოთარ კიტეიშვილი კარიერას გრაცის შტურმში გააგრძელებს. ეს ტრანსფერი უკვე თითქმის გადაწყვეტილია და დინამოს პრეზიდენტი რომან ფიფია ამ ინფორმაციას ადასტურებს.

ფიფიას თქმით, ავსტრიიდან კიტეიშვილს ძალიან კარგი წინადადება აქვს და ის ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

გრაცის შტურმში თავის დროზე დავით მუჯირი ასპარეზობდა და საკმაოდ წარმატებულად, რადგან ბოლოს ის შტურმის კაპიტანი გახდა.

## ბონუჩის მილანიდან წასვლა სურს



მილანის მცველ ლეონარდო ბონუჩის გუნდიდან წასვლა სურს, რადგან მას მილანში შექმნილი პირობები არ აკმაყოფილებს.

ეს ინფორმაცია მილანის მწვრთნელმა ჯენარო გატუზომაც დაადასტურა, რომლის თქმითაც, ბონუჩი ახალ გუნდს ეძებს.

მიუხედავად ამისა, მილანი ბონუჩის ადვილად არ დათმობს, რადგან შარშან ბონუჩის ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადა.

მილანში ბონუჩი ტურინის იუვენტუსიდან გადავიდა, სადაც ის წლების განმავლობაში თამაშობდა და გუნდის ლიდერიც იყო.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## სექს-შოპის თანამშრომელმა სამუშაოს საიდუმლო გაამხილა

ტვიტერის მომხმარებელმა „ბიძია ტერინის“ ფსევდონიმით ფლეშმობის „ერთი მოწონება – ერთი ფაქტი“, სექს-შოპში მუშაობის რამდენიმე ასეული ფაქტი ჩამოთვალა.

კერძოდ, მან განაცხადა, რომ მაღაზიებში ხშირად შედიან გარყვნილები. ზოგიერთ მათგანს გამყიდველები მეტსახელებს არქმევენ.

– ერთ-ერთი მათგანი ყველაზე ცნობილია და მას ყოველთვის მოაქვს შოკოლადი, – დაწერა „ბიძია ტერინმა“.

მან ასევე დაამატა, რომ ღამის ცვლაში მყიდველების უდიდესი ნაწილი ფისტინგისთვის უზარმაზარი დევაისებით მოდის, ზოგიერთი კლიენტი კი ტელეფონზე რეკავს და ითხოვს, დაწვრილებით მოუყვნენ ის, თუ როგორ ისარგებლონ ხელოვნური ვაგინით. ამასთან, ტანადი მყიდველები გაცილებით დაკომპლექსებულები არიან, ვიდრე ტანსრულები.




– გაყიდვები განსხვავდება რაიონების მიხედვით. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ რაიონში მდებარეობს მაღაზია. ერთში შესაძლოა ტონობით გაიყიდოს რეზინის ქალები, მეორეში – ანალური სათამაშოები და ა.შ. – აცხადებს სექს-შოპის თანამშრომელი და იქვე ამატებს, რომ ზოგიერთი მამაკაცი იმასაც კი კითხულობს, მაღაზიაში ცოცხალი ქალები ხომ არ იყიდება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იუმორი



ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ გაქვს საქმე?

– შოკოლადივით! და შენ?

– მეც ძირითადად მაგ ფერში...

●●●

ციხეში სომეხს ეკითხებიან:

– რისთვის დაგიჭირეს?

– საიუველირო მაღაზიის ვიტრინა აგურით ჩავამსხვრიე და მთელი ძვირფასეულობა წავიღე.

– ადგილზე დაგიჭირეს?

– არა, მეორე დღეს, როდესაც აგურის წამოსაღებად მივედი...

●●●

– რამდენი იქნება ათჯერ ასი გრამი?

– ერთი ლიტრი!

– მთელ მსოფლიოში ყველასთვის პასუხი ერთი კილოგრამია და მხოლოდ რუსეთშია ლიტრი.

●●●

ქალმა სამი ტყუპი გააჩინა. ახალშობილების სახლში მიყვანის შემდეგ მისმა სამი წლის ბიჭმა ბავშვებს დახედა და მშობლებს ეკითხება:

– აი ბაღნები უნდა დავიტოვოთ თუ ამოსარჩევად მეიყვანეთ?

●●●

მიხომ ოქროს თევზი დაიჭირა. თევზმა შეხედა და ეუბნება:

– გამიშვი და შვიდ სურვილს შეგისრულებ.

– აკი სამ სურვილს ასრულებსო?

– შე საცოდავო, ისეთ დღეში ხარ, რომ სამი სურვილი არ გეყოფა.

●●●

ჟურნალისტი მხატვარს ეკითხება:

– შემოქმედებითი კარიერის დასაწყისში ალბათ თქვენს ყველაზე დიდ სიამაყეს თქვენი პირველი პერსონალური გამოფენა წარმოადგენდა.

– არა, ეს ის მომენტი იყო, როდესაც პოლიციამ მაცნობა, რომ ადგილობრივი მუზეუმიდან ჩემი ნახატი მოიპარეს!

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– უკაცრავად, რომელი ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული?

– „დგომა აკრძალულია“.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*





**ბოაი**

**ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი**

სასწრაფო ეფექტი მოკლე პერიოდში

- -გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
- -ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
- -კანის დაავადებები
- -უროლოგია
- -გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით


## ბარსელონამ ბორდოს ფეხბურთელი იყიდა



ბარსელონამ ბრაზილიელი ნახევარმცველი მალკოლმი შეიძინა, რომელიც ფრანგული ბორდოს ღირსებას იცავდა. მალკოლმი 21 წლის არის და ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება, თუმცა მისი ბარსელონაში გადასვლა მაინც მოულოდნელობაა, რადგან კატალონიური გუნდი აქამდე მის მიმართ ინტერესს არ იჩენდა.

მალკოლმი ოთხშაბათს უკვე ბარსელონაში იქნება და ოფიციალურად გააფორმებს კონტრაქტს.

ბარსელონა 29 ივლისს ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ტოტენჰემთან და შესაძლოა მალკოლმი უკვე ამ მატჩში ვიხილოთ მოედანზე.

## არგენტინაში 25 წლის მეკარე მოკლეს



არგენტინაში 25 წლის მეკარე ფაკუნდო ესპინდოლა მოკლეს. ესპინდოლას ქუჩაში რამდენიმე ადამიანთან შელაპარაკება მოუვიდა, რის შემდეგაც მას დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს და ის ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ ეჭვმიტანილი დააკავა და ის ასევე ფეხბურთელი ნაუელ ოვიედო აღმოჩნდა. ესპინდოლა რივერ პლეიტის აღზრდილია, თუმცა მან ამ გუნდში თავის დამკვიდრება ვერ შეძლო და ბოლო წლებში ის არგენტინის მეორე დივიზიონის გუნდებში თამაშობდა. შემთხვევა 22 ივლისს ღამით, ერთ-ერთ ბართან მოხდა.

## ერდოღანმა მესუთ ოზილს მხარი დაუჭირა



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ერდოღანმა მესუთ ოზილს მხარი დაუჭირა და თქვა, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც გერმანიის ნაკრებიდან წავიდა.

ერდოღანის აზრით, ოზილი ასეთ მოპყრობას არ იმსახურებს:

– ოზილი ძალიან კარგი ფეხბურთელი და ადამიანია და მას უსამართლოდ ექცევიან. მესუთი ძალიან მიყვარს და მას ყოველთვის მხარს დავუჭერ.

ოზილმა რამდენიმე დღის წინ განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ გერმანელები მას თავისიანად არ თვლიან, ამიტომ ის აღარ აპირებს გერმანიის ნაკრებში თამაშს.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. თანდაყოლილი, წერტილოვანი ლაქა სხეულის კანზე; 2. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 3. ფულის ერთეული ჩინეთში; 4. მექსიკური წარმოშობის სამეჯლისო ცეკვა; 5. დაღესტნელთა ძველი სახელწოდება საქართველოში; 6. პირველი კოსმონავტი; 8. ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. ყოველივე უცხოურის სიყვარული; 11. ძველი გერმანული ტომი, რომელიც ევროპის ქვეყნებს არბევდა; 14. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. ფრანგი მექანიკოსი, საქსოვი მანქანის გამომგონებელი; 16. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი.

**თარაზულად**: 1. ქართული ნაციონალური კერძი; 4. გორგოლაჭებიანი კონვეიერი; 7. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 13. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 14. ინგლისის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 17. ურუგვაის ნაკრებისა და „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 18. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 19. საკუთარი საქციელის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; 20. ამერიკული საიუველირო ფირმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

